ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 21 დეკემბერი, 2023 №251 (9287) ფასი: 80 თეთრი

რის გამო უწყობენ „დიდ ტერორს“ გრიგოლ ჩხარტიშვილს?



გვ.4

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში მწერლებს დაერივნენ

„სააკაშვილმა არასწორი ტაქტიკა აირჩია“

გვ.3

„ სალომე ზურაბიშვილი მეორე ვადით უკეთესი პრეზიდენტი იქნება“

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილი ახლა პოლიტიკაში თუ დაბრუნდება, შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოუტანოს „ოცნებას“

დავით ბერძენიშვილი: „საარჩევნოდ საუკეთესო იქნებოდა ერთი დიდი არანაცური გაერთიანება, გახარიასა და ნაცების გარეშე“

მიხეილ დუნდუა: „მთავრობის სწორმა პოლიტიკამ გამოიწვია ბიუჯეტის მაღალი მაჩვენებლები“

გვ.4

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი: „2024 წლიდან მასწავლებლის ხელფასი გახდება 1.700-1.800 ლარი და ზევით“

ისტორიები

გვ.5

როგორ იწყებოდა თბილისის ომი

გვ.6

მწვრთნელი მამარდაშვილს აქებს

სანდროს დრო და ქართველთა მოგებები

გვ.7

2 ვინ არის ქართველი ქალი, რომელიც საფრანგეთში ქმრის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს

6 ჩვილი იესოს ქანდაკების გამტაცებლებმა მასში გამოსასყიდი მოითხოვეს

3 რუსი ოკუპანტების მიერ სასტიკად ჩაცხრილული გინტურის ოჯახმა, შესაძლოა, სტრასბურგის სასამართლოს მიმართოს

6 ქალს ფუნთუშების სიყვარულმა სიმდიდრე მოუტანა

1993230720223

„სალომე ზურაბიშვილი მეორე ვალიდ უკეთესი პრეზიდენტი იქნება“

დავით ბერძენიშვილი: „საარჩევნოდ საუკეთესო იქნებოდა ერთი დიდი არანაცური გაერთიანება, გახარიასა და ნაცების გარეშე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

— ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, უფრო გაელვებას, ვიდრე გამოჩენას. ამის მიუხედავად, ვისმენთ შეფასებებს, რომ აუცილებლად გამოვა ასპარეზზე წინასაარჩევნოდ, რადგან „ქართულ ოცნებას“, ეტყობა, რომ ძალიან უჭირსო. თქვენ როგორ გაიგეთ მისი გამოჩენა და რამდენად დასჭირდება „ოცნებას“ ივანიშვილის დახმარება?

— საკმაოდ აკვიატებული კაცია ივანიშვილი, ამიტომ რას ჩათვლის საჭიროდ, ძნელია ამაზე ლაპარაკი. მე არ გამოვრიცხავ, რომ ის ნამდვილად გამოჩნდეს საარჩევნოდ. ისევე, როგორც 2018-ში ჩათვალა, რომ მის გარეშე სალომე ვერ გახდებოდა პრეზიდენტი. საერთოდ, სახეც კი წაართვა, პირდაპირი მნიშვნელობით. ახლაც შეიძლება გამოჩნდეს. ამასთანავე, ივანიშვილს, რა თქმა უნდა, ენდომებოდა, რომ ქართველ ხალხს, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა, სწორედ მის სახელთან დაეკავშირებინა. არ დაგავიწყდეთო, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს რომ ეჩხუბება, არა მე მოვიტანე სტატუსი, არა — მეო, გამოჩნდა, გვითხრა, მე ვარ ყველაფრის თავი, ანი და ჰოეო.

— ვნახეთ კიდეც, პრემიერმა ღარიბაშვილმა მის შემაჯამებელ სიტყვაში, სამი სიტყვიდან ორი ბიძინა ივანიშვილს დაუთმო.

— კი, ასე იყო ნამდვილად. ბიძინა მიჩვეულია, რომ ვეზირები ასე უნდა ელაპარაკებოდნენ პატრონს. ფარაონივით არის ივანიშვილი, თვითშეფასება აქვს ასეთი, რომ ის არის ბატონი. მოდით, ახლა ამ საკითხს ძალიანაც ნუ ჩავულრმავდებით.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოვა ასპარეზზე ივანიშვილი?

— დიახ, შესაძლებელია. თუმცა არც მისი გამოჩენა უშველის და გადაარჩენს „ოცნებას“ თუ ოპოზიცია ივარგებს. ჩვენ გვაქვს ვითარება, როცა ამომრჩეველი ოპოზიციურია. საკმარისია ოპოზიციამ სწორ კონფიგურაციას მიაგნოს არჩევნებში და ბარიერგადაულახავი არ დარჩეს 3-4%-ზე მეტი. ამომრჩევლის განწყობა სრულიად მკაფიოა და არც ივანიშვილი და არც ყველა ერთად აღებული, „ოცნებას“ არ უშველის! ამოცანა ეგ არის, შეძლებს თუ არა ოპოზიცია, ისეთი გაერთიანებებით წარდგენას, რომ ამომრჩეველს არ დაეკარგება ოპოზიციისთვის მიცემული ხმები.

— იკვეთება ოპოზიციის გაერთიანების კონტურები?

— მე ვფიქრობ, ეს უფრო გაზაფხულზე გამოჩნდება. მანამდე ცდილობენ პატარ-პატარა ოპოზიციური პარტიები, დიდად წარმოაჩინონ თავი. გაზაფხულამდე შეეცდებიან ისე წარმოაჩინონ, რომ თითქოს მათ არ ექმნებათ ბარიერის პრობლემა. არსებითი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რომელი ოპოზიციური პარტია შეძლებს 100 ათასი ხმის მიღებას და 5%-იანი ბარიერის დაძლევას, თუ 5%-იანი დარჩა. ხომ აშკარაა, ერთმა და ორმა რომ შეძლოს, მესამე, მეოთხე და მეშვიდე ვერ შეძლებს. ასე რომ, ოპოზიციური ხმები დაიკარგება, ანუ გადანაწილდება სახელისუფლო მანდატებად. საუკეთესო იქნებოდა ერთი დიდი არანაცური გაერთიანება, გახარიას და ნაცების გარეშე თავისთავად. ეს იქნებოდა საუკეთესო. დაახლოებით ნახევარ-მილიონიანი სუბიექტი იქნებოდა, მაგრამ ეს ძალიან ჭირს. შესაძლოა, მოხერხდეს ორი საშუალო არა ნაცური გაერთიანების ჩამოყალიბება და ესეც ნორმალური შედეგი იქნებოდა.

— აქტიურად საუბრობენ ნიკა მელიას და „ლელოს“ ერთობაზე. ამაზე რას იტყვით?

— მე როცა ვლაპარაკობ ერთ დიდ გაერთიანებაზე, იმ ერთ დიდ გაერთიანებაში ნიკა მელიაც, „ლელოც“, ზურა „გირჩიც“, „დროაც“, „რესპუბლიკელები“, „მოქალაქეები“, ანა დოლიძე და აბსოლუტურად ყველა იგულისხმება. ეს არ იქნება მარტო მელიას და „ლელოს“ გაერთიანება, ბუნებრივია. ეს იქნებოდა კარგი, მაგრამ თუ ეს არ ხერხდება, მაშინ შესაძლოა, მელია, რომელიც საკმაოდ მზარდი იქნება, სწორედ აღმოჩნდეს ერთი საშუალო არანაცური გაერთიანების შემადგენლობაში, ხოლო „ლელო“ აღმოჩნდეს მეორე არანაცური გაერთიანების შემადგენლობაში. ესეც ნორმალური იქნება.

— პრეზიდენტის როლი ამ ყველაფერში? 15 დეკემბერს, იმ საყოველთაო ზეიმისას, ძალიან ცუდად მოექცა „ოცნება“ პრეზიდენტს.

— უნახავმა რა ნახაო, ეს დაემართა „ქართულ ოცნებას“. კლასი არა აქვთ და, ბუნებრივია, სამარცხვინო იყო მათი ეს საქციელი. რაც შეეხება პრეზიდენტ ზურაბიშვილს, ბოლო წელიწად-ნახევარში მისი ასეთი გამოკვეთილი პროევროპული პოზიციონირებით გახდა ნაგვიანევად ლეგიტიმური პრეზიდენტი ქვეყნისთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მისი არჩევის ფორმა კარგად გვახსოვს. ხელისუფლებამ თავისი უგუნურებით გამოიძერწა ოპონენტი სალომე ზურაბიშვილის სახით, რომელიც უმაღლესი თანამდებობის პირია. რას დააპირებს ზურაბიშვილი არჩევნებამდე, ბუნებრივია, მე ამაზე არაფრის თქმა არ შემიძლია. შესაძლოა, ის ბოლომდე დარჩეს პრეზიდენტად. მე არ მაქვს რაიმე ხელშესახები არც ფაქტი და არც არგუმენტი, რომ ის ახლა გადადგება პრეზიდენტობიდან და სიაში ჩაეწერება. თუმცა, ამ დიდ არანაცურ გაერთიანებას უფრო დაუჭერს მხარს ამა თუ იმ ფორმით, ვიდრე ხუთ ნომერს. ეს მისი მხრიდან სწორიც არ იქნებოდა.

— აჯობებს, რომ სალომე ზურაბიშვილი ბოლომდე პრეზიდენტის პოსტზე დარჩეს?

— ამ ეტაპზე შეფასებებისგან თავს შევიკავებ. მე ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილმა მიიღო საპრეზიდენტო გამოცდილება და ის უკეთესი პრეზიდენტი იქნება მეორე ვადითაც, ვიდრე იქნებოდა პრემიერობის კანდიდატი ოპოზიციიდან.

— რას იტყვით ვენეციის კომისიის და ეუთო-ოდირის შეფასებაზე? ვისმენთ, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო რეფორმას წითელი აუნთესო. ელოდებით, რომ შეცვლიან რამეს?

— ბევრჯერ უთქვამთ, რომ არ შევცვლითო და შეუცვლიათ. მაგათ სიტყვას ნამდვილად ჩალის ფასი აქვს და ნამდვილად არ არის ანგარიშგასაწევი მათი ეს ბაქი-ბუქი. ბარიერი 2%-იანი იქნება, 3 თუ 5, ამას „ქართული ოცნება“ იმის მიხედვით გადაწყვეტს, რა უფრო აწყობს მას. ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაწევს ბარიერს, თუ დაინახა, რომ ოპოზიცია ერთიანდება და 5% არ არის მისთვის ბარიერი. სწორედ ამ შემთხვევაში შემოაგდებს 2-3%-იან ვერსიას და თან ვენეციის კომისიას ეტყვის, რომ აი, მე დავუბრუნდი ჩემ მიერ პირველი მოსმენით მიღებულ დაბალპროცენტიან საარჩევნო ცვლილებას. დაბალი ბარიერი მაინც კარგია და, ადრე თუ გვიან, ქვეყანაში დაბალი ბარიერი უნდა იყოს, მაგრამ ამ ვითარებაში უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ხელისუფლების სატყუარა იქნება დაბალი ბარიერი. მე მაინც ვამჯობინებდი, დაბალი ბარიერის შემთხვევაშიც კი, ერთ დიდ გაერთიანებას. თუ 3%-ს შემოიღებს ხელისუფლება და პატარა პარტიები შეესევიან ცალ-ცალკე, მაშინ დარჩებიან გარეთ და ხელისუფლება ამით იხეირებს. ამ პატარა პარტიებს დარჩებათ ფინანსური უზრუნველყოფა ბიუჯეტიდან, ხელისუფლება წაიღებს მანდატებს და ოპოზიციური ამომრჩეველი იქნება ორივეს მიერ მოტყუებულ-გადაგდებული! აი ეს არ უნდა დავუშვათ. კი, ბარიერი დაწიონ კარგია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ოპოზიციისთვის სატყუარა. ბარიერს მიღმა არ უნდა დარჩეს ოპოზიციური ხმები! საკმარისია 5-7% დარჩეს გარეთ, რომ „ოცნების“ ხელისუფლება რჩება!

ვინ არის ქართველი ქალი, რომელიც საფრანგეთში ქმრის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს

საფრანგეთის ქალაქ ტულონში ქმრის მკვლელობის ბრალდებით ქართველი ქალი დააკავეს. ინფორმაციას ფრანგული მედია ავრცელებს და წერს, რომ ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 28 წლის ქალია, სახელად ლანა, რომლის გვარიც არ სახელდება.

მედიის ცნობით, 17 დეკემბერს, გვიან ღამით, მცირეწლოვანმა ბავშვებმა მეზობელს დაუკაკუნეს და უთხრეს, რომ მათ მშობლებს შორის „დიდი ჩხუბი“ იყო, რის შემდეგაც მეზობელი ქალი მათ ბინაში შევიდა და ძირს მწოლიარე კაცი დაინახა, რომელიც არ სუნთქავდა.

პოლიციამ გამოძიებით დაადგინა, რომ კაცი გაგუდული იყო. ამასთან, მედია წერს, რომ მსხვერპლი 31 წლის კაცია.

მედია ასევე აღნიშნავს, რომ მკვლელობაში ბრალდებული ქალი ქმრის მიერ 2022 წლის აგვისტოში ჩადენილი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო, თუმცა, პროცედურა მას შემდეგ გაუქმდა, რაც მსხვერპლმა ძალადობის შემთხვევა უარყო.

მედია წერს, რომ წყვილს 5 შვილი ჰყავს და ისინი ამჟამად თავშესაფარში არიან გადაყვანილები.

დაკავებული ქალის დედა „მთავარ არხთან“ ამბობს, რომ კაცი მის შვილზე ძალადობდა და წყვილს შორის ხშირად იყო კონფლიქტი. ქალი ამბობს, რომ კაცი ნარკოდამოკიდებული იყო, ის ვარაუდობს, რომ შეიძლება გარდაცვალების მიზეზი აღნიშნული გამხდარიყო.

— ინვალიდი შვილი ჰყავდათ და იმის თაობაზე წავიდნენ. თურმე ჩემს შვილზე ძალადობდა, არ აყენებდა, წამალდამოკიდებული გამხდარა და ფული მოიტანე, იმას დაესესხე, იქიდან მომიტანე, აქედან მომიტანე და სულ ჩხუბი და რაღაცა ჰქონიათ. დამტკიცებული ბრალი არ აქვს, იმიტომ, რომ ჩემი შვილი ერთი პატარა, ჭია გოგოა, ათას დარდ და პრობლემა გადავლილი და როგორ შეეძლო ბიჭი გაეგუდა, დაამტკიცებს ალბათ გამოძიება. გაქცეული არსად არ ყოფილა, ადგილზე აიყვანეს ჩემი შვილი და ის გარდაცვლილი იყოო.

მირჩევნია დღეს ჩემი შვილი იყოს მკვდარი, ვიდრე სიძე, არ მინდა ასეთი სირცხვილით ცხოვრება, ბავშვების წინაშე რა უნდა ვთქვა. ბავშვები გადაყვანილები არიან თავშესაფარია, თუ რა ჰქვია არ ვიცი, ამ წუთას არის ყველა ერთად. ეს ცხონებული წასული ყოფილა სახლიდან, ჩემმა შვილმა ორი ბავშვი გაიყოლა და სულ უფროს ბიჭს ავადმყოფები დაუტოვა და დაეძებდა ქუჩა-ქუჩა, რომ ნარკოტიკებზე იყო წასული, იცოდა თურმე და ჩვენთან ამას მალავდა, — ამბობს დედა.

ადვოკატი: „ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე პრეზიდენტი მონაწილეობდა აქციის დაშლაში, მოწმეებს არ გაუჟღერებიათ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შოთა თუთბერიძის განცხადებით, 7 ნოემბრის საქმესთან დაკავშირებით მოწმეთა დაკითხვამ დაადასტურა, რომ ეს საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია.

როგორც ადვოკატმა 20 დეკემბერს გამართულ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მოწმეებს კვლავ მოუწევთ ჩვენების მიცემა.

— მოწმეებს მოუწევთ ჩვენებების ხელახლა მიცემა. მათ ევალებათ, რომ სიმართლე ისაუბრონ. ყველა მოწმესთან მიმართებით მაქვს იმედი, რომ სიმართლეს ისაუბრებენ, რაც არის იმის გარანტია, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოირიცხება, — განაცხადა ადვოკატმა.

შოთა თუთბერიძემ იმედი გამოთქვა, რომ მოწმეები არ დაემორჩილებიან შესაძლო წნეხს.

— დღევანდელ პროცესზე გამოკითხულ მოწმეებს ინფორმაცია წამების შესახებ ნამდვილად არ მიუწოდებიათ, მიაწოდეს ინფორმაცია აქციის დაშლის ეპიზოდის შესახებ, რომელიც მათ საკუთარი თვალით ნახეს. ამ მოწმეებმა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დაადასტურეს, არის ის, რომ საქართველოში ხორციელდება შერჩევითი მართლმსაჯულება. ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ ის არა აქციის დაშლის ფარგლებში, არამედ პოლიციის მიერ უკანონოდ დაკავების დროს არის ნაწამები. აღნიშნა, რომ ეს ადამიანები დღემდე არ არიან დასჯილები.

საუბარია პოლიციის უფროსის და მისი მოადგილეების მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მოწმეებმა ისაუბრეს აქციის დაშლის ზოგიერთ ეპიზოდზე, მათ შორის, სპეცრაზმის მიერ დემონსტრანტების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებაზე. არავითარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი რომელიმე პირი, ან მესამე პრეზიდენტი რაიმე ფორმით მონაწილეობდა აქციის დაშლაში, არც ერთ მოწმეს არ გაუჟღერებია.

მოწმეთა დაკითხვამ დაადასტურა, რომ ამ საქმეზე მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა და შერჩევითი მართლმსაჯულება, — განაცხადა ადვოკატმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ღვედრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

რუსი ოკუპანტების მიერ სასტიკად ჩაცხრილული გინტურის ოჯახმა, შესაძლოა, სტრასბურგის სასამართლოს მიმართოს

რუსი ოკუპანტების მიერ სასტიკად ჩაცხრილული თამაზ გინტურის ოჯახმა, შესაძლოა, სტრასბურგის სასამართლოს მიმართოს. ამის შესახებ ინფორმაცია „რეაქციაში" დავით ქაცარავამ გააკეთა.

როგორც ქაცარავა ამბობს, ოჯახი გადაწყვეტილებას მიიღებს და გინტურის საქმეც სტრასბურგში წავა.

მკვლელები, რომლებმაც მოკლეს ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქეები, დღეს არიან თავისუფლები, წახალისებულები და არანაირი რეაგირება ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა, ოჯახებს მხარში დგომა რეალური არ ჰქონიათ. სახელმწიფომ, როგორც თავმოყვარემ, ღირსეულმა სახელმწიფომ არ იმოქმედა და გრძელდება პარალელურ რეჟიმში რუსებთან ბიზნესის კეთება, ეს არის რეაგირება? ამის იმედი უნდა ჰქონდეს ოთხოზორიას, გინტურის ოჯახს?

ჩვენ ვესაუბრებით გინტურის ოჯახს და ძალიან მძიმეა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმიტომ, რომ თამაზ გინტური ძალიან დიდი ადამიანი იყო და გამოდგა ქვეყნისთვის, ვესაუბრებით და ძალიან დიდი ალბათობით, ჩვენი იურისტი, ამ საქმეს წაიღებს სტრასბურგში, საბოლოო თანხმობა ალბათ იქნება. იმედი მაქვს, რომ დაგვთანხმდება ოჯახი და ეს საქმეც წავა სტრასბურგში, მაგრამ ეს არ იქნება ხელისუფლების დამსახურება. ხელისუფლება, სამწუხაროდ, მაქსიმალურ კომფორტს უქმნის საოკუპაციო რეჟიმს ოკუპაციის პროცესში, – განაცხადა ქაცარავამ.

ცნობილი გახდა, რომ ევროსასამართლომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე რუსეთი დამნაშავედ ცნო – დადასტურდა, რომ ოკუპანტმა ქვეყანამ სიცოცხლის უფლება დაარღვია. პუტინის რუსეთს ოთხოზორიას ოჯახისთვის 130.000 ევროს კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

„სააკაშვილმა არასწორი ტაქტიკა აირჩია"

რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილი ახლა პოლიტიკაში თუ დაბრუნდება, შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოუტანოს „ოცნებას"

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციას ერთობის კომიტეტის შექმნას სთავაზობს, სადაც თქვენთან ერთად ვითათბირებო. შეიძლება წინასაარჩევნოდ აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდეს?

– სააკაშვილი, მსგავსი მესიჯებით, როგორც იტყვიან, ბოლო ხანებში ხშირად გამოდის. ის იქცევა, როგორც მოქმედი პოლიტიკოსი. მოქმედების პოლიტიკა შეცვალა. უკვე აღარ საუბრობს, რომ კვდება, რომ ცუდად არის, რომ ცუდად ექცევიან და ა.შ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირდა, როდესაც მან ასეთი ტაქტიკა აირჩია. მას ამ ტაქტიკამ არაფერი კარგი არ მოუტანა. პირიქით, როგორც პოლიტიკოსი გაანულა. როგორც ჩანს, ამაზე დაფიქრდა და ტაქტიკა შეცვალა. მას შეეძლო, ციხე სათავისოდ გამოეყენებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას და ბევრად უფრო წელგამართული გამოსულიყო იქიდან. თუმცა, ახლა ჩანს, რომ ამაზე ფიქრობს.

– „ქართულ ოცნებაში" ამბობენ, რომ ასეთი დიდი ოპოზიციური გაერთიანება „ფანჩატური-2" იქნება. ფიქრობთ, უპერსპექტივოა ასეთი ერთობა?

– ძალა ერთობაშია არ არის ყოველთვის გამარჯვების გარანტი. არა მგონია, დიდი ოპოზიციური გაერთიანება არჩევნებში გამარჯვების საწინდარი იყოს. ეს, ის შემთხვევაა, როდესაც რაოდენობა არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტია, მხედართმთავარი ვინ იქნება. არა მგონია, სააკაშვილი იყოს ის მხედართმთავარი, რომელსაც ახალი გამარჯვება დაუკავშირდება. თუმცა, ოპოზიციაში არც სხვები ჩანან დიდი სტრატეგოსები, რომლებიც შეძლებენ არჩევნებში თავიანთი სტრატეგიით წარმატების მიღწევას. თან არც ერთი მათგანი არ ამხელს, როგორ აპირებს გამარჯვებას. ამომრჩეველს კი ეუბნებიან, რომ გაიმარჯვებენ, მაგრამ როგორ? პასუხი არა აქვთ. ოპოზიციას არ აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული მოქმედების გეგმა. რა იქნება თუნდაც მას შემდეგ, რაც გაიმარჯვებს. ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი. ამომრჩეველი კი გაურკვევლობას ვერ იტანს. მას ხშირად შეჩვეული ჭირი ურჩევია შეუჩვეველს.

– როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია გაერთიანებას შეძლებს?

– ვიღაცები ალბათ გაერთიანდებიან და ერთიანი გუნდით გავლენ არჩევნებზე, მაგრამ რამდენად ექნებათ წარმატება, ვერ გეტყვით.

– ბატონო რამაზ, ივანიშვილის რუსთაველის თეატრში გამოჩენამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, პოლიტიკაში ხომ არ ბრუნდება. როგორ ფიქრობთ, შეიძლება მართლაც დაბრუნდეს?

– არა მგონია. მე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. პირიქით, ბიძინა ივანიშვილის ახლა პოლიტიკაში დაბრუნებამ, შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოუტანოს „ოცნებას" ანუ ეს იყოს ანტიპიარი.

– რატომ?

– იმ წუთში ყველა იფიქრებს, რომ „ოცნებას" უჭირს, რომ ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას და საჭირო გახდა ივანიშვილის დაბრუნება „ოცნების" გადასარჩენად. ოპოზიციაც გამოიყენებს ანტიპიარისთვის.

ვფიქრობ, მეუღლესთან ერთად თეატრში მივიდა საღამოზე და მეტი არაფერი. თუმცა, ოპოზიციამ დაინახა ის, რაც უნდათ, რომ დაინახონ.

ივანიშვილი არ არის ის პიროვნება, რომელსაც პოლიტიკის მიმართ სწრაფვა აქვს, რომ მობეზრდეს ჩრდილში ყოფნა და უცებ მოუნდეს შუაგულში გამოსვლა. თან, თუ ამის საფუძველიც არა აქვს, რატომ უნდა გააკეთოს ის, რაც არ უნდა?!

– რა შემთხვევაში შეიძლება „ოცნებას" გაუჭირდეს და ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს? არის ამის შანსი?

– როგორ არ არის! რა თქმა უნდა, არის. ჩერჩილმა ომი მოიგო, მაგრამ არჩევნები წააგო. ასეთია ამომრჩევლის ბუნება. ამომრჩევლის მოტივაცია რა იქნება არჩევნების დროს, იმ კონკრეტულ მომენტში, რთული მისახვედრია. ხშირად პრობლემა წლები გროვდება და შემდეგ ერთიანად ამოხეთქავს არჩევნებზე. ასე გროვდებოდა პრობლემა და შემდეგ, 2003 წელს რევოლუციის სახით ამოხეთქა.

ან 2012 წელს, შეიძლება ბევრი არ ელოდა, რომ აბსოლუტურ გამარჯვებას მოიპოვებდა ოპოზიცია, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. ერთი მხრივ, სააკაშვილი და მეორე მხრივ, ივანიშვილი აღმოჩნდნენ ის ლიდერები, რომლებმაც შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

დღეს ვერ ვხედავ ამ ოპოზიციაში, ვისაც შეუძლია ხალხში დაგროვილი ყოფითი უკმაყოფილება გამოიყენოს, რომელიც ხელისუფლების საშუალო და დაბალი რგოლებიდან მოდის და არჩევნები მოიგოს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ გამოჩნდება ჭკვიანი ადამიანი და ამას არ გამოიყენებს და ხელისუფლებას არ შეცვლის. ყველა ხელისუფლება დგას ასეთი საფრთხის წინაშე.

ირაკლი ღარიბაშვილი: „2024 წლიდან მასწავლებლის ხელფასი გახდება 1.700–1.800 ლარი და ზევით"

– პროგრამამ „აწარმოე საქართველოში", მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად 900 მილიონ ლარამდე მიმართა. ამ პროგრამის ამოქმედების დღიდან, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 12,000-მდე პროექტი, შეიქმნა 70,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი და გაიცა 400 მლნ ლარზე მეტი დაფინანსება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ასევე მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში ჯამში დაფინანსებულია 12.000-ზე მეტი ბენეფიციარი.

რაც შეეხება ზოგადად ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას. მინდა გითხრათ, რომ აქაც ჩვენ გვაქვს საკმაოდ ხელშესახები შედეგი. 2012 წელს კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტი შეადგენდა სულ რაღაც 3.8 მილიონ დოლარს. უკვე წელს 500 მილიონ დოლარს გადააჭარბა საინფორმაციო მომსახურების ექსპორტმა, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, 130-ჯერ არის გაზრდილი ექსპორტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მისივე თქმით, საქართველოში IT კომპანიებში დასაქმებული მოქალაქეების საშუალო ხელფასი შეადგენს 8.000 ლარს.

მთავრობის მეთაურის თქმით, 2013 წლიდან დღემდე 46 000-ამდე ბენეფიციარზე გაცემულია 5,9 მლრდ ლარზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტი;

– რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მეგობრებო, ესეც ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჩვენი მთავრობის. მოსვლის დღიდან ჩვენ სოფლის მეურნეობას მაქსიმალურად ვეხმარებით.

2011 წელს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროების ბიუჯეტი, ერთობლივად, 100 მლნ ლარს შეადგენდა. წელს 600 მილიონზე მეტია და 2024 წელს იქნება მეტი, 688 მლნ ლარი. თითქმის 7-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის

სამინისტროს ბიუჯეტი.

ბოლო 11 წლის განმავლობაში ქვეყანაში აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვება 112%-ით გაიზარდა და შეადგინა 15 მილიარდ ლარზე მეტი. ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის 100%-ით, 4 მილიარდ ლარამდეა გაზრდილი დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება.

ჩვენ მიერ დაწყებული პროგრამის „დანერგე მომავლის" ფარგლებში დაფინანსებულია 22 ათას ჰექტარზე მეტი ბაღების გაშენება და სარწყავი სისტემების მოწყობა. 22 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები გაშენდა ბოლო 11 წელიწადში, – განაცხადა ღარიბაშვილმა. 2012 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობდა 28 ავიაკომპანია, წელს – 50 ავიაკომპანიაა შემოსული საქართველოში, 67 მიმართულებით ახორციელებენ ფრენებს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქუთაისის აეროპორტმა სექტემბერში მემილიონე მგზავრს უმასპინძლა, რეკორდული მაჩვენებელი იყო ბათუმშიც და წელს ბათუმის აეროპორტი 650.000 მგზავრს მოემსახურება.

– ეს ტენდენციები გრძელდება, ძლიერდება. უვიზო რეჟიმი დამატებითი სტიმულია, ჩვენ ჩინეთთანაც გავხსენით ახლა, რამდენიმე თვის წინ უვიზო რეჟიმი, მსოფლიოში ყველაზე დიდ ტურისტულ ბაზართან თანამშრომლობის გაღრმავებას, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ, ასევე, აქტიური მუშაობის შედეგად, ჩინეთის ერთ-ერთ წამყვან ავიაკომპანიასთან მოვახერხეთ მოლაპარაკება და დაინიშნა უკვე რეგულარული ფრენები. სექტემბრიდან გაიზარდა, დაიწყო პირდაპირი ფრენები ინდოეთშიც. ჩვენ, ცხადია, გვჭირდება აეროპორტების მეტი განვითარება, იცით, რომ ჩვენ დავაანონსეთ ახალი აეროპორტის განვითარების შესახებ, რომელზეც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დაიხარჯება და ჩვენი ამბიცია და მიზანი არის, რომ შეიქმნას ქვეყანაში საერთაშორისო დონის კლასის აეროპორტი, რომელიც შეიძლება იყოს ტრანზიტულ-ლოგისტიკური ცენტრი, მაღალი დონის სატვირთო და სამგზავრო ტერმინალებით.

ქუთაისის აეროპორტში აშენდება 3.5 კმ სიგრძის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, რომელიც მოემსახურება ნებისმიერი ზომის საჰაერო ხომალდს, მიიღებს მეტ ავიარეისს, უზრუნველყოფს სატვირთო საჰაერო ხომალდების შეუზღუდავ ოპერირებას, – განაცხადა პრემიერმა.

– ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხის განვითარებასთან. ამ მიმართულებით ჩვენს ძალისხმევაზე მხოლოდ ეს მაგალითებიც მეტყველებს:

მაგალითად, ბათუმის კაპიტალურ პროექტებში, 2012 წლამდე, 485 მლნ ლარი დაიხარჯა, 8 წელიწადში, 2012 წლამდე. ჩვენი ხელისუფლების პირობებში დაიხარჯა – 14 მლრდ ლარზე მეტი: 2 მილიარდამდე ლარი ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები და კერძო ინვესტიციები 12 მლრდ ლარზე მეტი განხორციელდა ბათუმში, ბოლო 11 წელიწადში, ეს შედარებისთვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვავითარებთ კურორტებს, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს აბასთუმნის უნიკალური კურორტის მოწყობაზე, სადაც დასრულებულია 20-ამდე ისტორიული სახლის, ასტროფიზიკური ობსერვატორიის, საბაგირო გზის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 2025 წელს გაიხსნება აბასთუმნის უნიკალური კურორტი, აქ სასტუმროები შენდება აქტიურად, დაახლოებით 16 სასტუმრო ვითარდება და თექვსმეტივე მზად უნდა იყოს სტუმრების მისაღებად 2025 წელს უკვე.

ბოლო 10 წელიწადში, 1.436 ახალი სასტუმრო გაიხსნა, რაც დაახლოებით 2-ჯერ მეტია 2013 წელთან შედარებით. შეიქმნა ახალი 85.000-მდე საწოლი ადგილი მთელ ქვეყანაში და ჯამური ინვესტიცია, მინიმუმ 2 მილიარდი ლარი არის განხორციელებული ამ სექტორში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბოლო 11 წელში საქართველოს რეგიონების გაზიფიცირებაზე გამოიყო 500 მლნ ლარამდე. ამჟამად ქვეყანაში ბუნებრივი გაზის 1 500 000 აბონენტია. აქაც 2-ჯერ მეტი ზრდა გვაქვს ბოლო 11 წელიწადში.

მთავრობის მეთაურის თქმით, 2024 წელს ბოლოს მოსახლეობის დაახლოებით 93%-ს ექნება წვდომა ბუნებრივ გაზზე.

2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სისტემის ბიუჯეტი იყო 626 მილიონი ლარი, წელს 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა ბიუჯეტმა და 2024 წელს იქნება რეკორდული, 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო 11 წელიწადში სახეზეა განათლების მიმართულებით ბიუჯეტის 300%-იანი ზრდა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, 2012 წელს ფუნქციონირებდა 1,200 საჯარო საბავშვო ბაღი, რომლებიც ფასიანი იყო. 2012 წლის შემდეგ, რაც „ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, 1,690 საჯარო საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს და ყველაფერი არის უფასო.

2012 წლამდე 16 ახალი სკოლა იყო აშენებული, ჩვენს დროს აშენებული და რეაბილიტირებულია 450 სკოლა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, წინა ხელისუფლებას არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით, მხოლოდ „ქართუ" ფონდისა და ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით გარემონტდა რამდენიმე ასეული სკოლა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რის გამო უწყობენ „დიდ ტერორს“ გრიგოლ ჩხარტიშვილს?

რუსეთში მწერლებს დაერივნენ

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მონიჭების შემდეგაც კი მმართველ ძალას ადანაშაულებენ იმაში, რომ ხშირად იკავებს რუსეთისთვის სასარგებლო პოზიციას. საქართველოში ისევ მოქმედებენ ანტიდასავლური და პროკრემლისტური ჯგუფები. რუსეთს ჯერ-ჯერობით ხელი არ აუღია ულტრამემარჯვენე პარტიების დაფინანსებაზე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში (მაგალითად, მარინ ლე პენისა და მისი ორგანიზაციის მხარდაჭერაზე). მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ყველას, მათ შორის, რუსეთის დიდ ინტერესს იწვევს.

საყურადღებო პროცესები მიმდინარეობს ოკუპანტი სახელმწიფოს შიგნით.

წარმოშობით ქართველის, ცნობილი მწერლის, გრიგოლ ჩხარტიშვილის (ბორის აკუნინი) მიმართ რუსეთში აღძრულია საქმე არმიის დისკრედიტაციისა და ტერორიზმის გამართლების მუხლებით. როსფინმონიტორინგმა აკუნინი თავისი ნამდვილი გვარ-სახელით – გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილის სახელით, შეიყვანა „ტერორისტებისა და ექსტრემისტების“ რეესტრში.

ბორის აკუნინის წიგნები რუსეთში აიკრძალა.

გრიგოლ ჩხარტიშვილი რუსეთში 2014 წლიდან აღარ ცხოვრობს. მწერალი კრიტიკული იყო რუსეთის ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად ამისა, მისი წიგნების რუსეთში გამოცემა და გაყიდვა გრძელდებოდა.

გრიგოლ ჩხარტიშვილის, ასევე, მწერალ დმიტრი ბიკოვის წიგნების გამოცემა-გაყიდვა ახლა შეჩერდა. ბიკოვმა ამ რეპრესიულ მოქმედებებს ამაო უწოდა და აღნიშნა, რომ „წიგნის აკრძალვა შეუძლებელია“. აკუნინმა მკითხველებს აუხსნა, რომ ის მათ თავისი ნებით არ დაემშვიდობება და მომავალშიც იტყვის და დაწერს იმას, რასაც სწორად ჩათვლის. წარმოშობით ქართველმა მწერალმა აღნიშნა, რომ „წიგნები რუსეთში არ აუკრძალავთ და მწერლები ტერორიზმში არ დაუდანაშაულებიათ დიდი ტერორის დროიდან (1937-38 წლები).

რუსეთის გამომცემლობა „ასტ“-მ გამოაცხადა, რომ წყვეტს ამ ორი მწერლის წიგნების გამოშვებას და გაყიდვას. ბიკოვი და აკუნინი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის შეჭრას უკრაინაში. მათ წინააღმდეგ ტერორის დაწყების მთავარი საბაბი გახდა საუბრები პრანკერებთან. კრემლის მომხრე პრანკერები – ვოვანი და ლექსუსი მწერლებს უკრაინელების სახელით დაუკავშირდნენ და აზრის გამოთქმა სთხოვეს. მწერლების პოზიციები კრემლის საწინააღმდეგო იყო.

თემაზე თავისუფალ მედიას ესაუბრა რუსეთის ფარგლებს გარეთ წელს შექმნილი გამომცემლობა „ფრედომ ლეტერსის“ დამფუძნებელი, ასევე წარმოშობით ქართველი, გიორგი ურუშაძე

– თქვენმა გამომცემლობამ ბიკოვის წიგნი გამოსცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსეთში მის წიგნებს აღარ ბეჭდავენ?

– დიახ. ეს იყო წელს გამოცემული ყველაზე ხმაურიანი წიგნი უკრაინის თემაზე. მისი სათაურია „ვზ“. ეს არის ცნობილი აბრევიატურა. მას წინათ კრემლის პროპაგანდისტები იყენებდნენ. შემდეგ მათ მასობრივად უარი თქვეს ამ ორი ასოს გამოყენებაზე, ვინაიდან გაიაზრეს, რომ ვლადიმირ ზელენსკის ინიციალები გამოდიოდა.

– აქვს თუ არა შანსი ბიკოვის ამ წიგნს, აღმოჩნდეს რუსეთის ტერიტორიაზე?

– ეს წიგნი უკვე მოხვდა რუსეთის ტერიტორიაზე. რუსეთში მას ყიდულობენ და კითხულობენ. წიგნების აკრძალვა უშედეგოა პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს იწვევს ინტერესს მის მიმართ. ასევე იმიტომ, რომ ახლა ელექტრონული ფოსტისა და სხვადასხვა კომუნიკაციის საუკუნეა, ადამიანები მუდმივად გადაადგილდებიან. ამ წიგნის ყიდვა შესაძლებელია, მაგალითად, საქართველოში, ისრაელში, ინგლისში, საფრანგეთში, აშშ-ში და ა. შ.

– აკუნინი და ბიკოვი რუსეთში ასეულობით ათასი ტირაჟით იბეჭდებოდნენ გამომცემლობა „ასტ“-ში. ამიერიდან მათ რუსეთის სხვა გამომცემლობებში შანსი აღარ აქვთ?

– ცოტა ვინმე თუ გაბედავს ასეთი წიგნების გამოცემას. მათ წინააღმდეგ იერიშები იქნება.

– რუსეთის უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა წიგნებს ბეჭდვიდან იღებენ?

– შეჭრის შემდეგ ბიბლიოთეკებში იყო აურზაური: ბევრი სხვადასხვა წიგნი გაგზავნეს სპეციალურ საცავებში და ჩამოწერეს. ეს უფრო რეგიონული ინიციატივები იყო. ასეთი ხმამაღალი განცხადება კი პირველია.

ირაკლი ღარიბაშვილი: „2024 წლიდან მასწავლებლის ხელფასი გახდება 1.700-1.800 ლარი და ზევით“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– რაც შეეხება სკოლების პროექტს. მოგეხსენებათ, რომ ასევე, ჩვენ შარშან დავაანონსეთ, დავიწყეთ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ჩვენი გეგმის მიხედვით, 2027 წლისთვის ყველა სკოლა ქვეყანაში უნდა იყოს დასრულებული, გარემონტებული და აშენებული ერთიანი ევროპული სტანდარტის მიხედვით. აქაც საინტერესო იქნებოდა შედარება, 2012 წლამდე, გაგეცინებათ და 16 ახალი სკოლა იყო აშენებული მხოლოდ. 16 სკოლა აშენდა მხოლოდ. მანამდე რამდენიმე ასეული სკოლა გარემონტდა, ისიც მხოლოდ „ქართუ“ ფონდისა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით.

მთავრობას, წინა ხელისუფლებას არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით. 16 სკოლა აშენდა, მაშინ, როცა ჩვენს დროს უკვე აშენებულია 450 სკოლა და რეაბილიტირებულია. ახლა მიმდინარეობს უკვე, მოგახსენეთ, რომ 880-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია–მშენებლობა. აი, ეს არის რეალური განსხვავება იმისა, თუ როგორ ზრუნავს დღევანდელი მთავრობა განათლებასა და მომავალ თაობაზე და როგორ ზრუნავდა წინა ხელისუფლება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

2012 წელს მასწავლებლის საშუალო ხელფასი იყო 330 ლარი და დღეს არის 1.230 ლარი, უკვე გაზრდილია 270%-ით, 2024 წლიდან მასწავლებლის ხელფასი გახდება 1.700-1.800 ლარი და ზევით, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, 2027 წლისთვის ყველა სკოლა იქნება დასრულებული და აშენებულ-რეაბილიტირებული ერთიანი ევროპული სტანდარტის მიხედვით.

მიხეილ დუნდუა: „მთავრობის სწორმა პოლიტიკამ გამოიწვია ბიუჯეტის მაღალი მაჩვენებლები“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, მიხეილ დუნდუა პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ, მთავრობის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშს აფასებს.

როგორც ის „კვირასთან“ საუბარში აღნიშნავს, საქართველოს მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვს, რაც მთავრობის სწორმა პოლიტიკამ გამოიწვია.

– პრემიერი ძალიან საინტერესოდ წარდგა საზოგადოების წინაშე. ეს წელი საქართველოსთვის ძალიან წარმატებული იყო. ჩვენ მივიღეთ კანდიდატის სტატუსი. რაც შეეხება ეკონომიკურ პარამეტრებს, ჩვენ გვაქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა წელსაც, გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი მაღალ ნიშნულამდე და უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირდა – სამიზნე მაჩვენებლებს ჩამოცდა ბოლო თვეების განმავლობაში. ეს არის პოზიტიური ტენდენცია, რომელიც დაფიქსირდა საქართველოში 2023 წელს.

გარდა ამისა, სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ბიუჯეტის მაღალი მაჩვენებლები, – განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

როგორც მინისტრის მოადგილე აცხადებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის მიხედვით, 2022-2028 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულზე ზრდის ტემპის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

– ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივები, კანონებში შევიდა ცვლილებები იმისათვის, რომ მაქსიმალურად შესრულებულიყო დასახული ამოცანები კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით. ფინანსთა სამინისტრომ და მთლიანად მთავრობამ დიდი სამუშაო გასწია იმისთვის, რომ პირნათლად შესრულებულიყო პირობები და მიგვეღო კანდიდატის სტატუსი.

წარმატებულმა პოლიტიკამ საერთაშორისო ინსტიტუტები, მაგალითად – საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაარწმუნა, რომ საქართველოს აქვს მაღალი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და აქ პრემიერმაც გაუსვა ხაზი, რომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის მიხედვით, 2022-2028 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულზე ზრდის ტემპის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო წამყვანი ინსტიტუტები არიან დარწმუნებულნი, რომ განსაკუთრებულად წარმატებული ეკონომიკური მომავალი ელის ქვეყანას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში. პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციები, რომელიც წელს საქართველოში დაფიქსირდა, არის შემდგომი წლების დიდი წარმატებების საწინდარი, მკაფიო მანიშნებელი იმისა, რომ შემდგომი წლები იქნება უფრო მეტი კეთილდღეობის მომტანი მოსახლეობისთვის, – აღნიშნა დუნდუამ.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის საქმიანობის ამომწურავი ანგარიში წარუდგინა საზოგადოებას, რომელშიც კონკრეტული მონაცემებითა და შედეგებით დასტურდება ქვეყანაში მიმდინარე პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციები, რაც ასევე აღიარებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებითაც და რაც, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის თანამიმდევრულ და გონივრულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მიანიშნებს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ვახტანგ ცინცაძემ განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, საქართველოს ეკონომიკის ორნიშნა ზრდის მაღალი დინამიკა 2023 წელსაც გაგრძელდა და საშუალო რეალურმა ზრდამ 7 პროცენტი შეადგინა.

– როგორც იცით, საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2021-22 წლებში იყო ორნიშნა. მაღალი ზრდის დინამიკა წელსაც გაგრძელდა და 2023 წელს პირველი ათი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 7 პროცენტი შეადგინა. ასევე გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე – ჩვენი პროგნოზით, ეს მაჩვენებელი 2023 წლის ბოლოს 8,100 აშშ დოლარს, ხოლო 2024 წელს 8500 დოლარს გადააჭარბებს.

2023 წლის იანვარ-ოქტომბერში ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა საინვესტიციო აქტივობის, საქონლით საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის მიმართულებით დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციები, – განაცხადა ცინცაძემ.

როგორც მინისტრის მოადგილე აცხადებს, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო ხვდება საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნებს შორის. ამასთან, როგორც ცინცაძე განმარტავს, საგარეო შოკების, გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებს მდგრადობას.

– საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო კომპანიების შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებს მდგრადობას გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოქტომბრის განახლებული პროგნოზების თანახმად, 2023-2028 წლებში საშუალოდ საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა მეზობელ, რეგიონის, ევროკავშირის კანდიდატ და ზოგადად ევროპის ქვეყნებს შორის 5.3%-ის ოდენობით.

მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, საქართველო ხვდება საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნებს შორის. პროგნოზების თანახმად, უკვე 2028-2030 წლებში საქართველო დაუახლოვდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მედიანურ სტანდარტს, ანუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების იმ დონეს (მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით), რაც დაახლოებით საშუალოდ დღეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ. გავიმეორებ კიდევ ერთხელ, რაც პრემიერ-მინისტრმა ახსენა გუშინ, რომ ჩვენი მიზანია, საქართველო გავხადოთ მაღალშემოსავლიანი ქვეყანა.

საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციები და მაღალი ეკონომიკური ზრდა ნათლად მიანიშნებს, რომ საგარეო შოკების, გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებს მდგრადობას.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტორია უმუშევრობის შემცირება ისტორიულ მინიმუმადე, დასაქმების მნიშვნელოვანი ზრდის პარალელურად. 2022 წელს უმუშევრობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე – 17.3%-ამდე შემცირდა. უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია 2023 წლის სამივე კვარტალში გაგრძელდა და მესამე კვარტლის მდგომარეობით, კვარტალურ ჭრილში, დასაქმების მაქსიმალური მაჩვენებელი და უმუშევრობის მინიმალური დონე დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე შემცირდა სამუშაო ძალის და დასაქმების ზრდის პარალელურად. ბოლო 11 წლის განმავლობაში სიღარიბე, ფაქტობრივად, განახევრდა და ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში არაერთი სისტემური და სტრუქტურული რეფორმა განხორციელდა. საქართველომ სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, მთავრობის და საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა, კორუფციისგან გათავისუფლება, ეფექტიანი მმართველობა, ბაზრის ეფექტიანობა, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო, კონკურენციის ხელშეწყობა, დანაზოგების დონის და პროდუქტიულობის გაუმჯობესება, ეკონომიკურ შესაძლებლობაზე ინკლუზიური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და, რაც მთავარია, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის მარეგულირებელ ნორმებთან ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.

სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში.

საქართველოს პროგრესზე კერძო სექტორის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიმართულებით მეტყველებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეფასებები და კვლევები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსში“ საქართველო კვლავ ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. კვლევა აფასებს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებსაც, როგორიცაა: პასუხისმგებლობიანი მთავრობა, სამეწარმეო ადამიანისეული კაპიტალი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ბაზარზე წვდომა, ინოვაციები და ბიზნესის ხელშეწყობა. მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის შეფასების მიხედვით, საქართველომ უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია – ჩვენი ქვეყანა ლიდერობს 12-დან 11 მიმართულებაში.

ჩვენ შევინარჩუნეთ სუვერენული საკრედიტო რეიტინგი არაერთი ქვეყნის რეიტინგის გაუარესების ფონზე, – აცხადებს ვახტანგ ცინცაძე.

როგორ იწყებოდა თბილისის ომი

გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

(დასაწყისი წინა ნომერში)

თენგიზ სიგუა:

– სასტუმრო თბილისში სადაც ოპოზიციური ძალების შტაბი ფუნქციონირებს, ხანძარი სულ უფრო ძლიერდება. ხანძარი გაჩნდა რუსთაველის თეატრის სახურავზეც, მაგრამ მისი ლიკვიდაცია ჩქარა მოხდა. მეხანძრეებმა გაგვაფრთხილეს, რომ ხანძარმა იმდენად იმძლავრა, რომ მისი ჩაქრობა ვერ მოხერხდებოდა და მოგვიწევდა სასტუმრო თბილისის დატოვება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოპოზიციური ძალების შტაბის იმელის შენობაში გადატანის შესახებ. შტაბმა ფუნქციონირება იმელის შენობაში დაიწყო. ხოლო სარდაფის სართულზე მოეწყო დროებითი ჰოსპიტალი. სადაც მედიკოსები პირველად დახმარებას უწევდნენ დაჭრილ მეომრებს. მნიშვნელოვანი დახმარება იგრძნობა მოსახლეობისგან, მათ მოაქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობით გადასახვევი მასალები, ბინტი, ბამბა და ფარმაცევტული ნაწარმი. კლინიკებმა მოგვაწოდეს ოპერაციისთვის აუცილებელი ქირურგიული მოწყობილობა და ინსტრუმენტები.

29 დეკემბრის ბოლოსთვის ბუნკერიდან უკვე ყოველდღე ათეულობით კი არა ასეულობით ადამიანი გარბის. თბილისიდანაც და რაიონებიდანაც ჩამოყვანილები თავიანათ ოჯახებს უბრუნდებიან. ყოველდღიურად მინიმუმ ხუთი კაცი მაინც მოდის შტაბში. ისინი დაწვრილებით გვიყვებიან, იქ ე.ი. ბუნკერში არსებული სიტუაციის შესახებ. მათი ინფორმაციის ანალიზიდან, ნათლად იკვეთება შემდეგი სურათი: ბუნკერში პანიკური სიტუაციაა, სამხედრო შტაბში განხეთქილებაა. უკვე თითქმის ღიად უცხადებენ უნდობლობას თავდაცვის მინისტრ ჯონი ფირცხალაიშვილს, მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ გიორგაძეს, მოადგილეს ბესო ქუთათელაძეს. შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი თვალებში რაღაც სითხე შესხმული მინისტრთა საბჭოს შენობაში წევს, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი რომან გვენცაძე მძიმედ არის დაჭრილი და ჰოსპიტალიზებულია. დაჭრილია და საავადმყოფოშია გვარდიის სარდალი ლოთი ქობალიაც. არასანდოთა სიაში მოხვედრილია უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობაც. კერძოდ, მინისტრი თამაზ ნინუა. ამდენად სანდო ხალხი, რომელთაც სამხედრო საქმის რაიმე გაეგებოდათ, თითქმის აღარ დარჩა.

29 დეკემბერს ბუნკერიდან გამოქცეულებმა მოიტანეს ინფორმაცია, რომ დილით დაუკავებიათ ნოდარ გიორგაძე და ხელებზე ბორკილდადებული მიუყვანიათ ბუნკერში პრეზიდენტთან. მისთვის ოთხი ბრალდება წაუყენებიათ. პირველი – თითქოს მას ფინანსთა სამინისტროდან დიდი თანხა მიუღია იარაღის შესაძენად და ეს თანხა მიუთვისებია. მეორე – თითქოს ევროპიდან ქიმიური იარაღი შემოუტანია, რომელიც მთავრობის სახლის ბუნკერში უნდა შეეშვა და ხალხი უნდა მოეწამლა. მესამე – თითქოს რუსებისთვის გამოერთვა და ფოთიდან თბილისში შემოეყვანა 20 ტანკი. მეოთხე – როგორ გაბედა 28 ოქტომბერს ოპოზიციის ლიდერების და სამთავრობო სტრუქტურების შეხვედრაში მონაწილეობის მიღება. გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ იგი შეხვედრია პარლამენტარებს, ხოლო შემდეგ დაუპატიმრებიათ.

გვიან ღამე ჩემთან მოვიდა ტელეჟურნალისტი მარკ რივკინი, ნოდარ გიორგაძის მეგობარი. იგი ძლიერ აღელვებული იყო და მითხრა, რომ ბუნკერიდან გამოქცეულებმა მას შეატყობინეს, რომ იქ ნოდარ გიორგაძის დახვრეტას თხოულობენო. მთხოვა, რომ მეშუამდგომლა გვარდიის ხელმძღვანელობასთან, რათა მათ როგორმე დაეხსნათ გიორგაძე ტყვეობიდან. ეს შეხვედრა შედგა და გვარდიის ხელმძღვანელობა დაჰპირდა რივკინს, რომ ყველაფერს იღონებდნენ იმისთვის, რომ დაეხსნათ ნოდარ გიორგაძე. მისი ტყვეობიდან განთავისუფლება მოხერხდა მხოლოდ 1992 წლის 5 იანვარს ღამით.

ერთ-ერთ ინტერვიუში ნოდარ გიორგაძე ასეთ შეფასებას აძლევს ზვიად გამსახურდიას გარემოცვას:

„ჩემ წინააღმდეგ ცეცხლი გაიხსნა – ერის მოღალატე, შენ გაგვყიდე, პრეზიდენტს უნდა იცავდე და არა კაპიტულაციის ხელშეკრულებით დადიოდეო. თურმე კაპიტულაცია ყოფილა ის, რომ ომი გაგვეჩერებინა და ერი შუაზე არ გაგვეხლიჩა. გამსახურდიას გარემოცვა? ღმერთო დაგვიფარე.“

– როგორ გაგრძელდა პროცესები 30 დეკემბერს?

– 30 დეკემბერი, ოპოზიციის სამხედრო ძალები გაძლიერდა. 30 დეკემბერს საღამოს რუსთაველის გამზირზე მეცნიერებათა აკადემიის შენობაში განლაგდა მხედრიონის შეიარაღებული რაზმი 600 მებრძოლის რაოდენობით. გარდა ამისა, როგორც გვარდიის ხელმძვანელობამ შემატყობინა, მათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისგან შეუძენიათ ერთი „ბეტეერი“, 12 ცალი ხელის ნაღმმტყორცნი „მუხა“. თუმცა მათვე შემატყობინეს, რომ იმავე წყაროდან ხელისუფლებასაც შეუძენია ორი ტანკი ტ-54 და ორი ჯავშანტრანსპორტიორი. ოპოზიციის მხარდამჭერ ბრიგადებს ქმნის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, 30 დეკემბრისთვის დაღუპულია 78 და დაჭრილია 335 მებრძოლი.

30 დეკემბერს ბუნკერიდან გამოქცეულებმა ახალი ინფორმაცია მოიტანეს ოპოზიციის შტაბში. წინა დღით 29 დეკემბერს ბუნკერში მოუწყვიათ მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც ურთიერთდაპირისპირებისა და ერთმანეთისადმი ბრალდებების გამო ჩაშლილა. ფინანსთა მინისტრსა და ვიცე-პრემიერს, გურამ აბსანძეს სერიოზული ბრალდება წაუყენებია საგარეო საქმეთა მინისტრისთვის და ვიცე-პრემიერისთვის მურმან ომანიძისთვის. ამ ბრალდების მიხედვით, ომანიძეს ბიუჯეტის სახსრებიდან საკმაოდ დიდი თანხა გაუტანია იარაღის შესაძენად. არავითარი იარაღი არ უყიდია და თანხა მიუთვისებია. ომანიძე თავის მხრივ კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნულ ბრალდებას. კონფლიქტი გინებაში და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაზრდილა. ომანიძე მოღალატედ გამოუცხადებიათ და მისი დაპატიმრება მოუთხოვიათ. ინფორმატორების მონათხრობით, ომანიძეს მოუხერხებია ბუნკერიდან გაპარვა და მიმალვაში იმყოფება. ორი დღის შემდეგ მოგვაწოდეს ვიდეოკასეტა, სადაც ეს კონფლიქტი იყო გადაღებული.

იმავე პერიოდში მურმან ომანიძე აძლევს ინტერვიუს, საიდანაც ამონარიდს გთავაზობთ:

– ეს იყო ნამდვილი დიქტატურა, ერთმმართველობა. ერთი პიროვნების მიერ უზურპირებული ხელისუფლება მთლიანად და აბსოლუტურად. რისი უზენაესი საბჭო, რისი მთავრობა, არავის არაფერს ეკითხებოდა, ყველაფერს თვითონ წყვეტდა. არაფერი ახსოვდა, არაფერს იწერდა, ერეოდა ყველაფერში, ეშლებოდა. იცი რას ნიშნავს ეს ყველაფერი პრეზიდენტის დონეზე? მას სურდა ამიერკავკასიის სადამ ჰუსეინი ყოფილიყო, მაგრამ დედაკაცების ტახტის ფავორიტი გახდა მხოლოდ. ყველაფერს უჯერებდა ქალებს. ზოგჯერ ისეთი კურიოზების მოწმე ვყოფილვარ, რომ მის მაგივრად ვვარდებოდი უხერხულ მდგომარეობაში. შეიძლება კაცი ერთი საათის წინ მის წინ მდგარიყო, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ეთქვათ მოსკოვში არისო და დაიჯერებდა. რამდენჯერ იყო, წესიერ, განათლებულ, პატიოსან კაცს წარვუდგენდი ამა თუ იმ ადგილზე დასანიშნად, ის კი ქალებს ავალებდა სოციოლოგიურ გამოკვლევას ამ კაცის რეიტინგისას. ხომ წარმოგიდგენიათ რა დასკვნასაც წარუდგენდნენ პრეზიდენტს. მას არ აინტერესებდა ხელმძღვანელობაში სპეციალისტები, პროფესიონალები მოსულიყვნენ. ქალების აზრი იყო მისთვის მთავარი და გადამწყვეტი. ადამიანის პიროვნების ღირსება მისთვის არ არსებობდა. ის, რაც დღეს ხდება, ამის დასტურია. ვცდილობდი, ეს სიბილწე ჩამომეცილებინა პრეზიდენტისთვის, მაგრამ მე თვითონ გამოვდივარ ხალხის შტრეების სიაში. დაწყევლილი ყოფილა ის დღე ჩემთვის ამ სავარძელში რომ ჩავჯექი. დრო იყო უსინდისობის, ქურდები და კარიერისტები წყვეტდნენ საქართველოს ბედს. მანანა ძოძუაშვილი და ლელე. ერთი კვირაა იღუპება ხალხი, იწვის თბილისი, ინგრევა. ახლა მაინც დაუჯეროს საღ აზრს. არა, ისევ ქალების მონაა პრეზიდენტი. ვიღაცა მიიტანს ჭორს და ისიც ჩვეულებისამებრ უჯერებს. მათ კი არ უგდებს ყურს, ვინც გარეთ დადის, ადამიანებს ესაუბრება. ამ სიტუაციაში ერთადერთი ლოგიკა პრეზიდენტის გადადგომაა. ხალხმა უნდა იცოდეს, მეორე დღესვე შეიძლებოდა ამ უბედურების შეწყვეტა. პრეზიდენტი არამარტო თანახმა იყო გადადგომაზე, თვითმფრინავიც გამზადებული იყო მისი და მისი ოჯახის წასაყვანად, მაგრამ ეს გარემოცვას არ აწყობდა. მე იქ ვიყავი, იმ დახშულ წრეში სადაც სხვა ვერ შეაღწევდა, ამიტომ სხვაზე მეტი ვიცი. ბუნკერში მეძახის და შეიძლება აღარც დავბრუნდე.

– რით აღინიშნა 1991 წლის ბოლო დღე?

– 31 დეკემბრის განმავლობაში თბილისში მთავრობის სახლთან უმნიშვნელო სროლები მიმდინარეობდა. სამხედრო დაპირისპირების სიმწვავე მნიშვნელოვნად შენელებულია. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუებში ოპოზიციის სამხედრო ლიდერმა თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება უახლოეს დღეებში არ შეწყვეტს შეიარაღებულ წინააღმდეგობას, განხორციელდება გენერალური შტურმი მთავრობის სახლზე. გვარდიის დაზვერვის მონაცემებით, ხელისუფლების სამხედრო ძალები მნიშვნელოვნად შეთხელებულია, ხალხი ისევ გარბის ბუნკერიდან. ტყვია-წამლის მარაგიც მნიშვნელოვნად შემცირებულია.

31 დეკემბერს ისინის რაიონში ჩატარდა გამსახურდიას მომხრეთა მიტინგი. მიიღეს მიმართვა გაეროს გენერალური მდივნისადმი, რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტებისადმი. მიმართვა მოითხოვდა ოპოზიციისგან სამხედრო წინააღმდეგობის შეწყვეტას და იარაღის ჩაბარებას. მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოებს, რათა მათ თბილისში მოავლინონ კორესპონდენტები და მოიხსნას საინფორმაციო ბლოკადა. არადა, დეკემბრის ბოლო დეკადაში თბილისში იმყოფებოდა მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოების 50-ზე მეტი წარმომადგენელი. სწორედ მათი მასალების საფუძველზე ვრცელდებოდა ინფორმაცია თბილისში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

უძილობა

❖ ❖ ❖

– ცნობილია მრავალი ხერხი სწრაფად დაძინებისთვის. ერთ-ერთი ხერხით სარგებლობენ მზვერავები იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აუცილებლობა უსწრაფესი დასვენებისა – დაწექით ზურგზე, ან გვერდზე, გადააბრუნეთ თვალები ზევით, შუბლს ქვემოთ. სამ წუთზე მეტი ხნით ამის გაკეთება არ შეიძლება.

❖ ❖ ❖

– ადვილად დაიძინებთ, თუ დაიზელთ ყურის ბიბილოებს, სადაც განლაგებულია რეფლექტორული ზონები, რომლებიც პასუხს აგებენ ორგანიზმის დამშვიდება-მოდუნებაზე.

❖ ❖ ❖

– უძილობის წინააღმდეგ ბრწყინვალე საშუალებაა ვარდის არომატული სანთლები და მშვიდი მუსიკა.

❖ ❖ ❖

– არ გეძინებათ? დახუჭეთ თვალები და იოცნებეთ. წარმოიდგინეთ ლურჯად მოლივლივე ტბა ან ზღვა, ან მორაკრაკე ნაკადული.

❖ ❖ ❖

– საძინებელი მორთეთ ლურჯი ან ცისფერი ტონებით.

❖ ❖ ❖

– ძილის წინ სასარგებლოა მედიტაცია, რაც დაგეხმარებათ დაივიწყოთ სამსახური და პრობლემები.

❖ ❖ ❖

– ძილის წინ დალიეთ ორი ჩაის კოვზი თაფლის და ერთი ან ორი ჩაის კოვზი ვაშლის ძმრის ნარევი, გარდა ამისა, დაძინებაში დაგეხმარებათ ყველის ნაჭერი ან ბანანი.

❖ ❖ ❖

– დაასველეთ ძმარდამატებულ წყალში ბამბის წინდები, გაწურეთ, ჩაიცვით, მათზე კი ამოიცვით მშრალი წინდები. ამ დროს მოხდება სისხლის მოწოლა სხეულის ზედა ნაწილიდან ქვედაში. პროცედურა ჩაიტარეთ ყოველდღიურად დაწოლის წინ. არ დაგავიწყდეთ, გაღვიძებისთანავე გაიხადეთ წინდები. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვინც მთელ დღეს ფეხზე დგას.

❖ ❖ ❖

– ერთ წილ დაქუცმაცებულ სვიის გირჩებს დაასხით 4 წილი არაყი ან 50 გრადუსიანი სპირტი, დააყენეთ 2 კვირა ბნელ ადგილზე, გაწურეთ. ნალექი კარგად გამოწურეთ, 1 სადილის კოვზ წყალში ჩაასხით 1 წვეთი და დალიეთ ორჯერ დღეში. ჭამის წინ. მესამედ დალიეთ ძილის წინ.

❖ ❖ ❖

– 1 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ანწლის ფესვებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე, ადუღეთ 15 წუთი ნელ ცეცხლზე, გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ, ნახარში მიიღეთ დღეში ერთხელ სადილის კოვზით.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.
მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

სპრეი მენტორი 7

გრიპის, გაცივების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.

რას გეგმავს ტრამპი?!

ამერიკელი ექსპერტების აზრით, დონალდ ტრამპს ფართო გეგმები აქვს. კერძოდ, ის აპირებს: 1) ძალოვანი ბლოკის (პენტაგონი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, პოლიცია) ძირეულ წმენდას; 2) უკრაინის დაფინანსების შეწყვეტას; 3) ჩინეთთან ვაჭრობის შეწყვეტას; 4) რუსეთთან ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების დადებას გავლენის სფეროების განაწილების შესახებ; 5) ევროპის დაფინანსების შეწყვეტას, ნატოს რეორგანიზაციას და ნელ-ნელა დაშლას; 6) მექსიკაში ამერიკული სპეცნაზის შეყვანას ადგილობრივი ნარკოკარტელების განადგურების მიზნით.

აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ბაიდენის აზრით, ტრამპს სურს აშშ-ში დიქტატურის დამყარება და ამიტომ მიისწრაფის აშშ-ის შიდა პოლიტიკური ცხოვრების ძირეული რეორგანიზაციისაკენ.

კოლორადოს შტატის სასამართლომ ტრამპს რესპუბლიკური პარტიის პრაიმერისში მონაწილეობა აუკრძალა. მიზეზი კაპიტოლიუმის ბორცვთან მომხდარ შეტაკებაში მონაწილეობაა. როგორც ცნობილია, ამას კონგრესის შენობაში შეჭრა მოჰყვა.

ჩვილი იესოს ქანდაკების გამტაცებლებმა მასში გამოსასყიდი მოითხოვეს

ესპანეთში ბოროტმოქმედებმა შობისადმი მიძღვნილი კუთხიდან ჩვილი იესოს ქანდაკება მოიპარეს.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ სან-ვისენტ-დელ-რასპეჩში მოხდა. იესოს ფიგურა 16 დეკემბრის ღამეს დაიკარგა. ამის შემდეგ პლატფორმა ტიკტოკზე გამოქვეყნდა ვიდეორგოლი, რომელშიც უცნობი პირები აცხადებენ, რომ სამართალდამცავები ცუდად „დარაჯობენ“ ჩვილ იესოს და ადგილობრივ ხელისუფლებას გამოსასყიდი მოსთხოვეს ორი ათასი ევროს ოდენობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ქანდაკების დაზიანებით დაიმუქრნენ.

ადგილობრივმა პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო. მათ უკვე 17 დეკემბერს დააპატიმრეს ქალაქ ალიკანტეს მახლობლად მცხოვრები ორი ახალგაზრდა მამაკაცი. 19 და 21 წლის პირებმა დაკითხვაზე ჩადენილი დანაშაული აღიარეს და მათ სასამართლოს წინაშე მოუწევთ წარდგომა. ამავე დროს ადგილობრივებმა ჩვილი იესოს ფიგურა იმავე საღამოს ნაგვის კონტეინერში იპოვეს, მისი მოპარვის ადგილიდან არც ისე მოშორებით.

დილით, 18 დეკემბერს ქანდაკება ადგილზე დააბრუნეს. ქალაქის მერის თქმით, ქანდაკება დაზიანებული არ არის და ადგილობრივებს ბოდიში მოუხადა აღნიშნული ინციდენტის გამო.

ქალს ფუნთუშების სიყვარულმა სიმდიდრე მოუტანა

აშშ-ში ქალმა კაფეში, სადაც ფუნთუშებისთვის შეიარა, ლატარიის ბილეთი იყიდა და სოლიდური თანხა მოიგო.

ბედმა ვირჯინიის შტატის ქალაქ ლინჩბერგის მკვიდრ მერი ჰარგისს გაუღიმა. ქალის თქმით, ის გვიან საღამოს სახლში ბრუნდებოდა და გადაწყვიტა ბავშვები ფუნთუშებით გაეხარებინა. მან კაფეში შეიარა, ფუნთუშები და მათთან ერთად ლატარიის ბილეთიც შეიძინა.

როდესაც მერიმ ლატარიის ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა, აღმოაჩინა, რომ ის 100 ათასი დოლარით გამდიდრდა.

– ეს უბრალოდ არარეალურია. ცხოვრებაში ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ლატარიაში გავიმარჯვებდი, – განაცხადა ჰარგისმა.

ქალის თქმით, ის მოგებული თანხით ახალი ავტომობილის შეძენას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას ოჯახს მოახმარს.

სილამაზის სალონში მიმავალმა ქალმა გზაზე ავარია მოახდინა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა

დიდ ბრიტანეთში ქალმა მანქანის საჭე ვერ დაიმორჩილა, სავალი გზის საპირისპირო მხარეს გადავიდა და სამი ადამიანი დაღუპა.

25 წლის ლეილა ბარნარდ-უიგლიმ ავტოსაგზაო შემთხვევა 2021 წლის 7 მაისს მოახდინა. უბედური შემთხვევა ისტ-რაიდინგ-ოფ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ბრიდლინგტონში მოხდა. ახალგაზრდა ქალს სილამაზის სალონში ეჩქარებოდა, სადაც მის მფლობელთან ჰქონდა შეხვედრა დანიშნული. ბარნარდ-უიგლი მისთვის კოსმეტიკური საშუალებების მიყიდვას გეგმავდა.

ქალს აგვიანდებოდა და მის წინ მიმავალი მანქანის გასწრებას ლამობდა. ის რამდენჯერმე გადავიდა გზის პირზე, წვიმისგან დასველებულ გზაზე და იქიდან ცდილობდა გასწრებას. ბოლოს და ბოლოს, წინ მიმავალი მანქანის მძღოლმა მას გზა დაუთმო და გაატარა. მისი თქმით, ამის შემდეგ მან შენიშნა, რომ მანქანა გზის პირისკენ იწევდა, წამის შემდეგ კი ქალმა მანქანის საჭე სხვა მხარეს შეატრიალა, მოძრაობის საპირისპირო მხარეს გადავიდა და სხვა ავტომობილს შეეჯახა.

იმ ავტომობილის სალონში, რომელსაც ბარნარდ-უიგლი შეეჯახა, სამი ადამიანი იმყოფებოდა. მძღოლის და მის გვერდით, მგზავრის სავარძელზე ორი მოზრდილი ადამიანი იმყოფებოდა, ხოლო უკანა სავარძელში პატარა ბიჭი იჯდა. მოზრდილი ადამიანების გადარჩენა ვერ მოხერხდა, ბავშვი კი გადარჩა, თუმცა სერიოზული დაზიანებები მიიღო.

სასამართლოში ბარნარდ-უიგლის ავტოსაგზაო შემთხვევაში დასდეს ბრალი, რომლის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ქალი საკუთარ დანაშაულს უარყოფს. საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება.

ფერმერებმა ზოოფილი გამოიჭირეს და დააკავეს

დიდ ბრიტანეთში განაჩენი გამოუტანეს ზოოფილს, რომელიც საქონლის ფერმებში იპარებოდა და ხბოებს აუპატიურებდა.

ბოროტმოქმედი ფერმერებმა გამოიჭირეს. მათ ეჭვი მას შემდეგ გაუჩნდათ, როდესაც შენიშნეს, რომ დილაობით ხბოები შეშინებული და დამფრთხლები გამოიყურებოდნენ. გარდა ამისა, ისინი იმ შენობების შორიახლოს, სადაც საქონელი ჰყავდათ დაბინავებული, სამედიცინო ხელთათმანებს, თოკს და შარვლებს პოულობდნენ.

ფერმერებმა ადგილზე სათვალთვალო კამერები დააყენეს და მალე ბოროტმოქმედი გამოიჭირეს. დაახლოებით შუა ღამისას, ფერმერს ხბოს ბღავილის ხმა შემოესმა და სათვალთვალო კამერის ჩვენება შეამოწმა. ეკრანზე ჩანდა, რომ შენობაში უცხო პირი იმყოფებოდა.

ფერმერმა და მისმა ახლობლებმა შენობას ალყა შემოარტყეს, ყველა გამოსასვლელი ჩაკეტეს და სინათლე აანთეს. უცნობმა პირმა სასწრაფოდ აიწია შარვალი და გაქცევა სცადა, მაგრამ დამფრთხალმა ძროხებმა ის ძირს დააგდეს.

ბოროტმოქმედი ფერმის ყოფილი თანამშრომლის შვილი, 25 წლის ლიამ ბრაუნი აღმოჩნდა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო ცხოველებთან სქესობრივი აქტის განხორციელების და მათთვის ტკივილის მიყენების ბრალდებაში. მას ათი წლით აეკრძალა ცხოველების ყოლა, ხოლო ფერმერებისთვის კომპენსაციის სახით 600 ფუნტი სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოლონეთში რუსეთის აგენტები გაასამართლეს

პოლონეთის კონტრდაზვერვამ ამხილა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება. ის ეწეოდა რუსეთის სასარგებლო ჯაშუშობას. ჯგუფში შედიოდნენ რუსეთის, უკრაინის და ბელორუსის მოქალაქენი.

დაპატიმრებულთა შორის იყო რუსი ჰოკეისტი, რომელიც პოლონეთის ერთ-ერთ კლუბში თამაშობდა. მის გამო რუსეთის ხელისუფლებამ პოლონეთს პროტესტი გამოუცხადა და ხსენებული პიროვნების დაკავებისთვის ახსნა-განმარტება მოითხოვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

მწვრთნელი მამარდაშვილს აქებს

გიორგი მამარდაშვილმა ლა ლიგაში ზედიზედ 56 მატჩი (38 წინა სეზონში, 18 მიმდინარეში) ითამაშა. ეს სერია 2022 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

გიორგი მამარდაშვილმა ბოლო მატჩში კარი მშრალად შეინახა და ვალენსიას სტუმრად რაიო ვალეკანოს (1:0) დამარცხებაში დაეხმარა.

23 წლის ქართველ მეკარეს TOP ლიგაში უკვე 74 მატჩი მოუგროვდა და ჩვენებურთა შორის ამ მაჩვენებლით მერვე ადგილზეა. მის წინ დგანან: ლევან კობიაშვილი (351); კახა კალაძე (247); ალექსანდრე იაშვილი (198); ლევან ცქიტიშვილი (127); გიორგი ქინქლაძე (102); თემურ ქეცბაია (76); ლევან მჭედლიძე (75).

რაიოსთან მატჩი ამ სეზონში მეექვსეა, მამარდაშვილს გოლი რომ არ გაუშვია. გასულ სეზონში კი, ასეთი შვიდი თამაში ჰქონდა.

ჩვენებურის პროგრესზე ვალენსიელთა მთავარი მწვრთნელი რუბენ ბარახა საუბრობს:

– მამარდაშვილი ახალგაზრდა მეკარეა, რომელსაც უკვე დიდი გამოცდილება აქვს. მეკარეების კარგ ფორმაში ყოფნა მნიშვნელოვანია, რადგან თამაშის მოსაგებად არიან საჭირო. რაიოსთან სათამაშო სიტუაციები ძალიან კარგად წაიკითხა და რთულ მატჩებში ძალიან გვეხმარება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალიან ახალგაზრდაა და სასწავლი ბევრი აქვს. თუმცა, პროგრესს არ წყვეტს. მისი ფეხბურთისადმი დამოკიდებულება შესანიშნავია, წელს ძალიან სტაბილურია და გუნდს მაგრად ეხმარება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ერლინ ჰოლანდი: „სიტის კრიზისის დაძლევა შეუძლია“

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა თავისი გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებელ შედეგებზე ისაუბრა და თქვა, რომ სიტის კრიზისი არა აქვს და გუნდი მალე დაიწყებს მოგებებს:

– ბოლო შეხვედრებში ბევრი ქულა დავკარგეთ, მაგრამ სეზონი გრძელია და წინ კიდევ ბევრი თამაშია. ჩვენ მშვიდად ვართ და ვიცით, რომ მალე ყველაფერი შეიცვლება და სიტი მოგებებს დაიწყებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების განგაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ოთარ იოსელიანი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

წრფელად ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ „იყო შაშვი მგალობელზე“ უკეთესი ქართული ფილმი არ არსებობს. „გიორგობისთვე“ 15 წლის ასაკში პირველად როდესაც ვნახე, მეგონა, რომ ჰაერში ავიწიე. ოთარი ჩემი კუმირი იყო და მისთვის ჩემი პირველი ფილმის ჩვენება თან ძალიან მინდოდა და თან ძალიან მეშინოდა. მისით სრულიად მოხიბლული ვიყავი. ლეგენდარული რეჟისორის გარდა, ის იყო ლეგენდარული ადამიანი, რომელმაც ღირსების ორდენი უკან დაუბრუნა საფრანგეთის მთავრობას სიტყვებით: „ეს ორდენი ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან მანამდე ისეთ უღირს ადამიანს გადაეცით, როგორიც ვლადიმერ პუტინია“-ო, უკომპრომისო მუდმივი მეამბოხე.

„რაც არ უნდა მითხრას, ეს ვერ დამანგრევს“ – მანტრასავით ვუმეორებდი ჩემს თავს. ის წუთები, სანამ ბატონი ოთარი მოვიდოდა, უზომოდ იწელებოდა, არ მთავრდებოდა. ოთარი მოვიდა, ზუსტად, დროულად, წუთიც არ დაუგვიანია. უხასიათოდ გამოიყურებოდა, ღიმილზე საპასუხოდ არ გაგვიღიმა, ცივად, სიტყვაძუნწად მოგვესალმა და ჟან პიერს სთხოვა, ფილმი ჩაერთო. 90 წუთის მანძილზე ოთარი ფილმს უყურებდა, მე და ჟან პიერი კი – ოთარს. არც ერთხელ არ გაუღიმია, მოღუშული, კუშტი სახით უყურებდა ფილმს, „რაც არ უნდა მითხრას, ეს მე ვერ დამანგრევს“, ფიქრში ვიმხნევებდი თავს. ყველაზე უარესისთვის მოვემზადე. ფილმი დამთავრდა. ოთარმა ჟან პიერს ხელი ჩამოართვა. რაღაცას ფრანგულად ეუბნებოდა, ჟან პიერის გაბრწყინებული სახით ვხვდებოდი, რომ კარგად იყო საქმე. ვგრძნობდი, რომ გახარებულ ჟან პიერს ერთი სული ჰქონდა, ჩემთვის ინგლისურად ეთარგმნა, რას ეუბნებოდა ოთარი, თვალები უბრწყინავდა და ხელით მანიშნებდა, ახლავე გითარგმნიო. საუბარს რომ მორჩა, ოთარმა მე დამიძახა, გადამეხვია, მომილოცა და მითხრა, ბატონ ჟან პიერს უკვე ვუთხარი, რომ ახლა მე და შენ ერთად უნდა აღვნიშნოთ, რა კარგი ფილმი გადაგიღიაო. უნდა წაგიყვანო და მე და შენ ცალკე უნდა დავილაპარაკოთო. წავედით, იქვე კაფეში შევედით, ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ, ძალიან ბევრი დავლიეთ. ფილმის ყველაზე პატარა უმნიშვნელო დეტალებიც კი ახსოვდა, დეტალურად განიხილა. ძალიან მნიშვნელოვანი რჩევები მომცა, ვილაპარაკეთ უამრავ რამეზე – ფილმზე, კინოზე, თბილისზე, საფრანგეთზე, სიხარულისგან მიწას ვერ ვგრძნობდი. ოთარს ჰქონდა რაღაც საოცარი ქარიზმა და მომხიბლავობა, ანათებდა, გინდოდა დაუსრულებლად გესმინა, მისი ყოველი სიტყვა გულს და სულს სწვდებოდა. „ახლა წადი, სამონტაჟოში დაბრუნდი, ჟან პიერი გელოდებაო“, როცა მითხრა, უკვე 4 საათი იყო, დროს წარმოუდგენლად სწრაფად გაერბინა. ფეხზე რომ წამოვდექი, ემოციებისა და ალკოჰოლისგან, მივხვდი, რომ ფეხი გვარიანად მერეოდა, ოთარზე კი სრულებით ვერ ემოქმედა ალკოჰოლს. მყარი, მტკიცე ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას... დიდი ეპოქა დამთავრდა...

ქეთევან სადღობელაშვილი:

– აუ! მორჩით, რა, ოთარ იოსელიანის სახელით სპეკულაციას! როცა ცოცხალი იყო, მაშინ ხო იღამებდით თვალებს მისი ნახვით და მოსმენით. თუკი ამის უნარი გაგაჩნიათ, ჩაუღრმავდით იოსელიანის კინოს და მიხვდებით, რომ არც გარდაცვლილა და არც არსად დაუკრძალავთ. სამუდამოდ დარჩა მისი ფილმების სიღრმესა და სისადავეში. იქ, სადაც არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შავი ლომი სუპერ თასის მოგებას მესამედ შეეცდება

22 დეკემბერს, რაგბი ევროპის სუპერ თასის ფინალში შავი ლომი თბილისში, ავჭალის სტადიონზე ისრაელის თელავივ ჰითს შეერკინება და ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებას ეცდება.

შავმა ლომმა სუპერ თასის პირველ ფინალში პორტუგალიური ლუზიტანუში სტუმრად 17:14 დაამარცხა, შარშან დეკემბერში კი, სწორედ ჰითს აჯობა – 29:17 და თასი ზედიზედ მეორედ შემართა.

სუპერ თასზე ლევან მაისაშვილის გუნდისთვის ჰითი ტრადიციულ მეტოქედ ჩამოყალიბდა და ყველაზე მეტჯერ – ექვსჯერ შეხვედრია. პირველ გათამაშებაში თელავიველებს ორივე შეხვედრა ბონუსით მოუგეთ: თბილისში (33:10) და ფეთაჰ-თიქვაში (52:28). 2022 წელს კი, ჯგუფურ ეტაპზე ვერც ერთხელ ვაჯობეთ: თბილისში (25:25) თამაში ფრედ დასრულდა, თელ-ავივში კი, მასპინძლებმა (24:18) მოიგეს. ამავე წელს ზემოთ ნახსენები ფინალი მოვუგეთ, ხოლო წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც განსხვავებული ფორმატით ჩატარდა, ჰითთან ჯგუფური ეტაპის გამარჯვებულს ვარკვევდით.

მეტოქემ კვიპროსში, ლიმასოლში გვიმასპინძლა. შავმა ლომმა პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა მოიპოვა და 23:6 დაწინაურდა. შესვენების შემდეგ მეტოქე გააქტიურდა და ჩამორჩენა შეამცირა, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება მაინც ქართულ გუნდს დარჩა – 29:27.

ნახევარფინალში შავმა ლომმა ესპანური იბერიანსი 41:0, ხოლო ჰითმა რუმინული ვულვზი 31:6 დაამარცხა.

ამის შემდეგ შავი ლომი ისტორიულ, ჩელენჯ თასის გათამაშებაში ჩაერთო და სადებიუტო მატჩში ინგლისურ გრანდ გლოსტერთან (10:15) ნუგეშ-ქულას დასჯერდა, გასულ კვირაში კი, უელსური სქარლეთსი (23:7) დაამარცხა და პირველი გამარჯვება იზეიმა.

უელსიდან დაბრუნებულ შავ ლომს საზეიმოდ არ ეცალა, რადგან წინ წლის დასკვნითი მატჩია – სუპერ თასის ფინალი, სადაც ჩვენი გუნდი ზედიზედ მესამედ ეცდება ტიტულის მოგებას. სქარლეთსთან გამარჯვების შემდეგ, გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ცვლილებაა – ორი ხაზში და ორიც შერკინებაში.

ტრავმა მოიშუშა, მოედანს უბრუნდება და ცენტრში კაპიტან მერაბ შარიქაძეს შეუწყვილდება გიორგი კვესელაძე; ფრთაზე ბრუნდება სანდრო თოდუა; მეორე ფრთაზე გუნდის საუკეთესო მელელოვე აკა ტაბუცაძე დადგება; ფულბეკის პოზიციაზე კვლავ მირიან მოდებაძეს ვიხილავთ; ღერძზე კი თენგიზ პერანიძე და საუკეთესო მექულე ლუკა მატკავა დადგებიან.

კვაჭის პოზიციაზე თამაშს ირაკლი ქვათაძე იწყებს, ბექა მამრიკიშვილმა კი მარქაფაში გადაინაცვლა; ბურჯებმა დათო აბდუშელიშვილმა და გიორგი ჩხარტიშვილმა დამწყებრაზმში ადგილი შეინარჩუნეს; მეორე ხაზში ნოდარ ჭეიშვილს მიხეილ ბაბუნაშვილი შუწყვილდება, რომელმაც ტრავმა მოიშუშა; უცვლელია მესამე ხაზი – გიორგი კერვალიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი და ლუკა ივანიშვილი.

ბექა მამრიკიშვილის გარდა მარქაფაში გადაინაცვლა შუამარბმა თორნიკე კახოიძემ. ტრავმა მოიშუშა და თამაშს სათადარიგო სკამიდან იწყებს ბურჯი ნიკოლოზ ხატიაშვილი. კვლავ შეცვლაზე არიან ბურჯი ალიკო შამილიშვილი, მეორეხაზელი დემურ ეფრემიძე, მესამეხაზელი საბა კურტანიძე, ჰავბეკი გიორგი მარგალიტაძე, და უკანახაზელი ლუკა ცირეკიძე.

ხაზი: მირიან მოდებაძე, აკაკი ტაბუცაძე, გიორგი კვესელაძე, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, ლუკა მატკავა, თენგიზ პერანიძე;

შერკინება: დათო აბდუშელიშვილი, ირაკლი ქვათაძე, გიორგი ჩხარტიშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი კერვალიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, ლუკა ივანიშვილი;

მარქაფა: ბექა მამრიკიშვილი, ალიკო შამილიშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, დემურ ეფრემიძე, საბა კურტანიძე; გიორგი მარგალიტაძე, თორნიკე კახოიძე, ლუკა ცირეკიძე.

ფინალური მატჩი 22 დეკემბერს, 15:00 საათზე დაიწყება.

სანდროს დრო და ქართველთა ვოგებები

სან ანტონიოს ლიდერის, ვიქტორ ვემბანიამას ტრავმამ სანდრო მამუკელაშვილს შანსი მისცა, რომელიც ჩვენებურმა მეტ-ნაკლებად გამოიყენა.

სან ანტონიო სპურსი აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერს, მამუკელაშვილის ყოფილ გუნდს, მილუოკი ბაქსს ესტუმრა და 119:132 დამარცხდა.

მამუკელაშვილმა მოედანზე 15 წუთი გაატარა, ამ დროშიც 3 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. მცირე დროისთვის ცუდი სტატისტიკა არ არის, მაგრამ ცუდი მხოლოდ სროლის პროცენტული მაჩვენებელია – სანდრომ 5 სამქულიანი ესროლა და მიზანს მხოლოდ ერთმა მიაღწია.

ტეხასელთა მთავარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი ქართველი კალათბურთელის კმაყოფილი დარჩა და დაფიქრდა კიდეც.

„მამუკელაშვილი რამდენიმე მატჩში ჯეი ლიგაში გავანათხოვრეთ და ყოველთვის 25 ან 30 ქულით დაბრუნდა. ასე რომ, მამუ მუდამ ჩემს გონებაშია და მასთან დაკავშირებით კითხვები მიტრიალებს – იქნებ რამე გამომეპარა? მეტი სათამაშო დრო ხომ არ უნდა მივცე? ის საკუთარ დონეს ყოველთვის ინარჩუნებს, ამდენად, უნდა ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

სან ანტონიოს 4 გამარჯვება და 22 მარცხი აქვს, რაც დასავლეთ კონფერენციაში ბოლო შედეგია.

თორნიკე შენგელიას ვირტუსი ევროლიგაში მოგებას მოგებაზე ითვლის. იტალიურმა კლუბმა ბერძნულ პანათინაიკოსს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 69:67 დაამარცხა.

მთელი თამაში წინ ბერძნები იყვნენ, რიგ ეპიზოდებში 13 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ვირტუსმა მეოთხე პერიოდი მაღალ დონეზე ჩაატარა და ბოლო წუთს თანაბარ ანგარიშზე შეხვდა – 67:67.

თამაშის ბედი დანიელ ჰაკეტის კარგმა თამაშმა გადაწყვიტა, რომელმაც საშუალო დისტანციიდან ტყორცნით ბოლონიელები 69:67 დააწინაურა, საპასუხო იერიშისას კი ოლიმპიაკოსის კალათბურთელი შეტევაში დაჯარიმა და მატჩიც ვირტუსის გამარჯვებით დასრულდა.

თორნიკე შენგელიას სტატისტიკა ასეთი იყო: 30 წუთი, 6 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი. შენგელიამ ხუთიდან ერთი ორქულიანი ჩააგდო, ოთხიდან ოთხი საჯარიმო მიაყოლა, ხოლო ორივე სამქულიანი კი მიზანს ასცდა.

ბოლონიელებს 15 ტურის შემდეგ ევროლიგაში 11 მოგება აქვთ და რეალის შემდეგ (14) მეორე ადგილზე არიან. მომდევნო მატჩს ევროლიგაზე 21 დეკემბერს ვალენსიას წინააღმდეგ გამართავენ.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაზე გიორგი შერმადინის ტენერიფემ ჯგუფური ეტაპი დაასრულა. ესპანელებმა სტუმრად ფრანგულ შოლესთან ითამაშეს და 91:85 გაიმარჯვეს.

გიორგი შერმადინმა საფრანგეთში მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო. ჩვენებურმა 17 წუთში 11 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ტენერიფეს ბომბარდირი, 16 ქულით ბრუნო ფიტიპალდო გახდა.

ამ გამარჯვებით ტენერიფემ შოლეს გადაასწრო და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ეტაპზე, მეორე ადგილით სწორედ ფრანგული კლუბი გავიდა, მესამე იყო თურქული დარუშაფაკა. პირველადგილოსანი ტენერიფე ტოპ 16-ის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებს, ხოლო შოლე და დარუშაფაკა სხვა ჯგუფების მეორე-მესამეადგილოსნებთან ფლეი აუტს ითამაშებენ.

ოლიმპიურმა მუზეუმმა ჩემპიონებს უმასპინძლა

ოლიმპიურ მუზეუმში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით მეხიკოსა (1968) და სეულის (1988) ოლიმპიური თამაშების საიუბილეო თარიღებთან (მეხიკო 55, სეული 35) დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორები: ნინო სალუქვაძე, დავით გობეჯიშვილი, გელა კეტაშვილი, ლერი ხაბელოვი, ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე, მაია აზარაშვილი, სეოკ-ის, სპორტული ფედერაციების და მედიის წარმომადგენლები, სხვა მოწვეული სტუმრები.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.

ღონისძიებას უძღვებოდა სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი ნინო სალუქვაძე.

სტუმრებმა დიდ ეკრანზე იხილეს სხვადასხვა კადრები მეხიკოს და სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი ოლიმპიელების ასპარეზობის შესახებ. ჩვენმა ოლიმპიელებმა გაიხსენეს სხვადასხვა საინტერესო ამბები თავიანთი განვლილი სპორტული კარიერიდან.

ღონისძიებაზე ქართველი ოლიმპიელების შესახებ საინტერესო ისტორიული მომენტები გაიხსენეს დამსახურებულმა სპორტულმა ჟურნალისტებმა თენგიზ გაჩეჩილაძემ და თამარ ბალავაძემ.

1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშებში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 14-მა სპორტსმენმა, მოპოვებულია 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს-მედალი: რომან რურუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – ოქროს მედალი; ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) – ოქროს მედალი; დიტო შანიძე (ძალოსნობა) – ვერცხლის მედალი; შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა) – ვერცხლის მედალი; ზურაბ საკანდელიძე და სერგეი კოვალენკო (ორივე კალათბურთი) – ბრინჯაოს მედალი.

სეულის 1988 წლის თამაშებში კი, საქართველოდან 16-მა სპორტსმენმა იასპარეზა. მოპოვებულია 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი: ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) – ოქროსა და ვერცხლის მედლები; დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) – ოქროს მედალი; ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა) – ოქროს მედალი; ვლადიმერ გოგოლაძე (სპორტული ტანვარჯიში) – ოქროს მედალი; გელა კეტაშვილი (ფეხბურთი) – ოქროს მედალი; ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა) – ვერცხლის მედალი; ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე (ორივე ძიუდო) – ბრინჯაოს მედალი; ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი) – ბრინჯაოს მედალი; მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი) – ბრინჯაოს მედალი; მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) – ბრინჯაოს მედალი.

საქართველოს ოლიმპიური ისტორია 1952 წლიდან იწყება, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული აქვთ 133 მედალი – 41 ოქრო, 35 ვერცხლი და 57 ბრინჯაო.

საქართველო ფიგურულ სრიალში ყველა დისციპლინაში იასპარეზებს

2024 წლის ევროპის ჩემპიონატს ფიგურულ ციგურაობაში ლიეტუვის ქალაქი კაუნასი 8-14 იანვარს უმასპინძლებს. საქართველოს მოციგურავეთა ნაკრები ოთხივე დისციპლინაში გამოვა.

ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაციის (ისუ) ვებგვერდზე ჩვენი გუნდის განაცხადი უკვე გამოქვეყნდა.

ქალებში საქართველოს ღირსებას კონტინენტის მოქმედი ჩემპიონი ანასტასია გუბანოვა და ალინა ურუშაძე დაიცავენ, კაცებში კი, ნიკა ეგაძე იასპარეზებს. სპორტულ წყვილებში ანასტასია მეტელკინა და ლუკა ბერულავა გამოვლენ, ხოლო ყინულზე ცეკვებში – დიანა დევისი და გლებ სმოლკინი.

დევისისა და სმოლკინის წყვილმა ჩვენი ქვეყნის სახელით გამოსვლის გადაწყვეტილება 2023-24 წლების სეზონის წინ მიიღეს. თუმცა, ისუ-ს განაცხადში დევისი – სმოლკინის წყვილის შესაძლო შემცვლელად მარია ალეევა – იგორ ბარშაკის დუეტია მითითებული. შეგახსენებთ, რომ 2023 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ისტორიული მედალი ანასტასია გუბანოვამ მოუტანა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

19 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

პორტვეილი-მიდლსბრო	0:3
ევერტონი-ფულემი	1:1(6:7პ)
ჩელსი-ნიუკასლი	1:1(4:2პ)

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ლაიფციგი	1:1
დორტმუნდი-მაინცი	1:1
ჰოფენჰაიმი-დარმშტადი	3:3

სატურნირო ცხრილი:

1.ლევერკუზენი	15	12	3	0	42-12	39
2.ბაიერნი	14	11	2	1	47-14	35
3.ლაიფციგი	16	10	3	3	38-17	33
4.შტუტგარტი	15	10	1	4	34-19	31
5.დორტმუნდი	16	7	6	3	30-25	27
6.ფრაიბურგი	15	7	3	5	19-23	24
7.ჰოფენჰაიმი	16	7	3	6	32-30	24
8.აინტრახტი	15	5	6	4	24-19	21
9.ვოლფსბურგი	15	6	1	8	19-25	19
10.აუგსბურგი	15	4	6	5	24-28	18
11.გლადბახი	15	4	5	6	30-33	17
12.ჰაიდენჰაიმი	15	5	2	8	22-30	17
13.ვერდერი	16	4	4	8	23-30	16
14.ბოხუმი	15	3	7	5	18-29	16
15.მაინცი	16	1	7	8	13-28	10
16.კიოლნი	15	2	4	9	10-26	10
17.უნიონი	14	3	1	10	15-31	10
18.დარმშტადი	16	2	4	10	20-41	10

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რაიო-ვალენსია	0:1
ატლეტიკო-ხეტაფე	3:3
გრანადა-სევილია	0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ხირონა	17	14	2	1	41-20	44
2.რეალი	17	13	3	1	38-11	42
3.ატლეტიკო	17	11	2	4	35-19	35
4.ბარსელონა	17	10	5	2	31-19	35
5.ბილბაო	17	9	5	3	33-19	32
6.სოსიედადი	17	8	6	3	29-18	30
7.ბეტისი	17	6	9	2	19-17	27
8.ხეტაფე	18	6	8	4	24-23	26
9.ლას პალმასი	17	7	4	6	15-14	25
10.ვალენსია	18	6	5	7	19-22	23
11.რაიო	18	4	8	6	16-24	20
12.ოსასუნა	17	5	4	8	19-26	19
13.სევილია	17	3	7	7	23-24	16
14.ალავესი	17	4	4	9	14-23	16
15.ვილიარეალი	17	4	4	9	23-33	16
16.მალიორკა	17	2	9	6	14-20	15
17.კადისი	17	2	8	7	14-24	14
18.სელტა	17	2	7	8	16-25	13
19.გრანადა	18	1	5	12	20-40	8
20.ალმერია	17	0	5	12	17-39	5

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-ელდენსე	1:1
რასინგი-ანდორა	2:0
ელჩე-მირანდესი	0:0
ესპანიოლი-ბურგოსი	3:3

იტალია. თასი

ნაპოლი-ფროზინონე	0:4

საფრანგეთი. ღიგა ჯ

ამიენი-კაენი	0:0
ანჟე-გენგამი	1:0
ანსი-როდეზი	1:2
აიაჩო-ვალანსიენი	2:1
დიუნკერკი-ბორდო	0:2
კონკარნო-გრენობლი	0:3
ლავალი-ოსერი	1:3
პო-ტრუა	1:1
სტ.ეტიენი-ბასტია	3:2
პარიზი-კევი	2:2

თურქეთი. სუპერღიგა

ბაშაქშეჰირი-სივასი	3:1
გაზიანთები-ადანა	2:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 2. ღვთაების, ხატის სადიდებელი გუნდური სიმღერა საეკლესიო დღესასწაულების დროს; 3. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ბრილიანტი. 4. ძველბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 8. კოსმოდრომი იაპონიაში; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. უძველესი ებრაული ბიბლია; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

თარაზულად: 5. სახელმწიფოთა შორის თანხმობა ელჩების დანიშვნის შესახებ; 6. ქართველი საერთაშორისო კატეგორიის რაგბის მსაჯი; 9. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 10. შვილიშვილის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ინგლისელ კოლონიზატორთა მეტსახელი; 13. ცხელი შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. უღელტეხილი საქართველოში; 18. აკვიატებული შიში; 21. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 22. ბაზრის ძველი სახელწოდება; 23. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბიშკეკი; 2. ჭომა; 3. სვანი; 4. გლდანი; 6. ფეხბურთი; 9. ლოკალი; 13. ოჩოკოჩი; 14. ვახშამი; 15. ქონება; 17. ფრაჟე; 18. დიანა; 20. ხადა.

თარაზულად: 1. ბოჭორმა; 5. გოლფი; 7. ღვეზელი; 8. შამხალი; 10. ზუთხი; 11. ნოკია; 12. დუკერი; 16. მანათი; 17. ფორდი; 19. ოლქი; 21. ბესონი; 22. ეჟვანი; 23. პასივი; 24. გიურზა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პარკუჭი; 2. ლაქშმი; 3. სემაფორი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. ალაშვილი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტზალი; 19. რიწა; 20. ლადა.

თარაზულად: 5. ვალენსია; 6. ედელვაისი; 9. ბუსეტო; 10. მესეფი; 11. კანტე; 13. მასკი; 15. კოპოლა; 18. ზონდი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. ყაზბეგი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

21 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6854

ევრო — 2.9413

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3992

100 რუსული რუბლი — 2.9673

ამინდის პროგნოზი 21 დეკემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალტერ მაცარი: „გულშემატკივარს ბოდიშს ვუხდი“

ნაპოლი საკუთარ მოედანზე ფროზინონესთან განადგურდა 0:4 და იტალიის თასს გამოეთიშა. კვარაცხელია მოედანზე 64-ე წუთზე შევიდა, მაგრამ მან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა, ისევე, როგორც ნაპოლის სხვა ფეხბურთელებმა.

მატჩის შემდეგ ვალტერ მაცარიმ გულშემატკივარს ბოდიში მოუხადა და თქვა, რომ ასეთ შედეგს გამართლება არა აქვს:

– არ მესმის, როგორ დავმარცხდით ასეთი ანგარიშით და დაცვაში ისეთი შეცდომები დავუშვით, რომლებიც არ გვეპატიება. გულშემატკივარს ბოდიში უნდა მოვუხადოთ და მხოლოდ წინ ვიყუროთ.

ხავი: „ნაპოლი რთული მეტოქე იქნება“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თქვა, რომ ნაპოლი მისი გუნდისთვის რთული მეტოქე იქნება. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ნაპოლი სწორედ ბარსელონას დაუპირისპირდება.

ხავის აზრით, მაყურებელი სანახაობრივ ფეხბურთს იხილავს:

– ნაპოლი და ბარსელონა ორივე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, ამიტომ ვფიქრობ, რომ მაყურებელი ბევრ გოლს იხილავს. ნაპოლი ძლიერი გუნდია და მათთან შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მასტერმა და ქეთი მელუამ დუეტი ჩაწერეს

რეპერმა გიორგი პავლიაშვილმა – მასტერმა დიდი ხნის ოცნება აიხდინა და მომღერალ ქეთი მელუასთან დუეტი ჩაწერა.

ქართულ-ინგლისური სიმღერა „თბილისი-ლონდონი“ ინტერნეტში უკვე განთავსდა და მსმენელის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ახალ სიმღერაზე ვიდეორგოლი ლონდონსა და თბილისშია გადაღებული და მასში უკრაინელი მოდელი მარია და ქართველი ლუკა შენგელია მონაწილეობენ.

მარიამ ფოცხიშვილმა დედოფალ ელიზაბეტის ოპერისა და ბალეტის თეატრში იცეკვა

ნიჭიერმა ქართველმა ბალერინამ მარიამ ფოცხიშვილმა ვანკუვერში დედოფალ ელიზაბეტის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ სპექტაკლებში იცეკვა.

ინფორმაცია ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– მარიამ ფოცხიშვილი ვანკუვერის დედოფალ ელიზაბეტის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცეკვავს. მარიამმა ამ მცირე დროში, როგორც აკადემიის ახალგაზრდული დასის წარჩინებულმა სტუდენტმა, მონაწილეობა მიიღო საბალეტო სპექტაკლ „მაკნატუნაში“. ეპიზოდები: ფიფქები, ყვავილების ვალსი და ესპანური. ასევე ამ სპექტაკლისთვის მოწვეულები იყვნენ მსოფლიოში ცნობილი წამყვანი სოლისტები ჩინეთის ნაციონალური თეატრიდან.

ნატა ლომოური საქართველოს პენცენტრის აღმასრულებელი დირექტორია

მწერალთა სახლის ყოფილი ხელმძღვანელი ნატა ლომოური საქართველოს პენცენტრის აღმასრულებელი დირექტორია.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი და კულტურის მენეჯერი 12 წლის განმავლობაში მწერალთა სახლის დირექტორი გახლდათ, სადაც თავის გუნდთან ერთად საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ და საგანმანათლებლო პროექტს: თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს, მწერალთა რეზიდენციას, დავით სარაჯიშვილის მემორიალურ მუზეუმსა და რეპრესირებული მწერლების მუზეუმს, ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული სტენდების პროექტებს საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე და ქართული ლიტერატურის თარგმანის პროგრამას.

წელს ნატა ლომოური დაჯილდოვდა პრემია „საბას“ სპეციალური პრიზით „თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის“.

კონსერვატორიაში იოსებ კეჭაყმაძის სახელობის კლასი გაიხსნა



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ერთ-ერთ კლასს კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის სახელი მიენიჭა.

გადაწყვეტილება კონსერვატორიის რექტორმა გოგა შავერზაშვილმა თანამოაზრეებთან ერთად მიიღო და ეს კეთილშობილური საქმე უმოკლეს დროში განახორციელა.

ხელის თხოვნა ლუკა და გიორგი ჭოხონელიძეების კონცერტზე

მომღერლისა და კომპოზიტორის ნატო გელაშვილის შვილების ლუკა და გიორგი ჭოხონელიძეების კონცერტზე კიდევ ერთი წყვილი გაბედნიერდა. საყვარელმა მამაკაცმა საყვარელ ქალს ხელი პირდაპირ სცენაზე სთხოვა და თანხმობაც მიიღო. ჭოხოებმა კონცერტი რუსთავში გამართეს, რომელიც ნაძვის ხის ანთების საზეიმო ცერემონიალს მიეძღვნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ოთარ იოსელიანი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს

89 წლის ასაკში გარდაცვლილი რეჟისორი ოთარ იოსელიანი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. უკანასკნელ გზაზე იგი მშობლიური სახლიდან, მიცკევიჩის ქუჩიდან ტაშით გააცილეს.

22 არაჩვეულებრივი ფილმის ავტორი გენიალურ რეჟისორად არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც აღიარეს.

ელდარ შენგელაია:

– მშვიდობით, ჩემო ოთარ. შენი სახელი სამუდამოდ ჩაეწერა მსოფლიო და, რაც მთავარია, ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში და ვიცი, კიდევ უამრავი ახალგაზრდა გაიზრდება შენი ფილმების ყურებით. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

ნიკოლოზ რაჭველი:

– ვოცნებობ, არასდროს განელდეს ინტერესი ოთარ იოსელიანის სამყაროს მიმართ, განსაკუთრებით მომავალ თაობებში. ის იყო ისეთი, როგორი ადამიანების საქართველოც მომწონს ჩემს წარმოსახვაში! ნათელი და დიდება მის სულს!

მზია მანჯავიძე:

– ოთარ იოსელიანს რომ შესძლებოდა თავისი დასაფლავების სცენარი დაეწერა, ალბათ ამ დღეს აღწერდა, რადგან ყველაფერი მის კინოსტილში იყო. ჯერ იყო და კატაფალკის მძღოლმა სურათი რომ მოიკითხა და არ არსებობდა. შემდეგ, ვაკის სასაფლაოზე პატარა, ძველებურ, რკინის მოაჯირიან საფლავზე, მამისის ზევიდან გათხრილ საფლავზე ყველაზე ცოტა ყვავილი მიიტანეს, რაც კი ოდესმე მინახავს ვინმეს დასაფლავებაზე. ბოლოს, მესაფლავეები დიდხანს ელოდნენ ვინმეს გამოსამშვიდობებელ სიტყვას, მაგრამ ხმა არავინ რომ არ ამოიღო, ადგნენ და კუბო ჩუმად ჩაასვენეს უცნაურ მდუმარებაში. მამაომ ნიჩაბი გამოართვა და მიწის მიყრა თავად დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანში, ვერ მოითმინა, შეჩერდა და ორი სიტყვა მაინც თქვა, რომელსაც მოკლე ლოცვა მიაყოლა. შემდეგ ყველა დავიშალეთ, როგორც მოვედით მანქანებში ჩაკვეხებული (სამარშრუტო ტაქსი არ არსებობდა). რაც შეეხება ქელეხს, დიდი ეჭვი მეპარება, რომ გადაუხადეს, ალბათ მიშა კობახიძის დასაფლავების შემდეგ ბინაში პატარა ალა ფურშეტი რომ მოაწყეს, იმის მსგავს რამეს იზამდნენ... მსოფლიოში ცნობილი, ქართველებისთვის საამაყო რეჟისორი მივაბარეთ მიწას, რომელსაც მომავალი საქართველო მაინც დააფასებს.

ლიზა ციციშვილი:

– ოთარ იოსელიანის დაკრძალვა... ისეთივე ჩუმი, არაპომპეზური, სევდიანი და მოკრძალებული, როგორც მისი კინო.

პაატა ნაცვლიშვილი:

– ჰოდა, რატომღაც გადაჭარბებული მეგონა, როცა ვკითხულობდი, რომ რომელიმე გამოჩინებული თანამემამულის დაკრძალვას სულ რამდენიმე ადამიანი დაესწროო. არადა, ახლა თავად ვარ მოწმე ასეთი შემთხვევებისა. ასე იყო დათო წერედიანის შემთხვევაში, ასე იყო მიშა კობახიძის შემთხვევაში და აი, ოთარ იოსელიანის დაკრძალვაც.

ჰოდა, თუ პაოლო იაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის დროს ამის მიზეზი საყოველთაო შიში და სახელმწიფო ტერორი იყო, ახლა ხომ ვართ უშიშრები და დამოუკიდებლები?! თუ მაშინ საკუთარი აზრის გამოხატვა რაგინდარა ფორმით, სახიფათო იყო, ახლა ხომ ვცემთ პატივს გამოხატვის თავისუფლებას? თუ მაშინ საბჭოთა იმპერიის წნეხში ვიხრჩობოდით, ახლა ხომ ვართ ევროპასტატუსმონიჭებულები?

ჰოდა, ფართო საზოგადოებაზე არაფერს ვიტყვი, ქართულ კინოში დღეს დასაქმებული გოგო-ბიჭები მაინც სადღა იყვნენ თავისი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტით, თავისი კინოცენტრითა თუ უკონცენტროდ? ერთ-ორ მათგანს თუ მოვკარი თვალი იმ ორიოდე ათეულ ჭირისუფალში. გაიგებენ კი ოდესმე, რომ ოთარ იოსელიანი მათაც მოუკვდათ?! როგორც, თუნდაც კინოს მუშაკებს?! როგორც, თუნდაც ქართველებს?!

გაგა ჩხეიძე:

– კინოხელოვნების დიდოსტატი გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე, დამოუკიდებელი, თავისუფალი, ნონ-კონფორმისტი ხელოვანი და მოაზროვნე. მშვიდობით, ბატონო ოთარ!

ბესო სოლომანაშვილი:

– მარკესის ანგელოსია, „ძალიან მოხუცი კაცი უშველებელი ფრთებით“, ჩამოფრინდა, მსუბუქად და კეთილად დასცინა სამყაროს და ნელნელა გაფრინდა.

რატი ყოლბაია:

– არანაირი პომპი და გლამური. ისეთივე აუთენტური და მშვიდი, როგორც მისი ფილმები. ოთარ იოსელიანის წასვლით მთელი ეპოქა დასრულდა. მან კინო დაგვიტოვა და ხელოვნება თან გაიყოლა.

რევაზ შატაკიშვილი:

– ოთარ იოსელიანი მთაწმინდაზე კი არა, ვაკეში დაკრძალეს. ე.ი. სამთაწმინდედ უკეთესი კინორეჟისორები გვყავს. აყვავებულა კი არა, გაფურჩქნულა ქართული კინო და ვერ გაგვიგია. აი, თქვენ კი გაგეფურჩქნათ წაკლა დედის კოკორი.

რუსუდან ჭყონია:

– ოთარი, რა თქმა უნდა, აბსოლუტური გენიოსია, მაგრამ შეუძლია ძალიან დაუნდობელი იყოს, თუ არ მოეწონა ფილმი, გაგანადგურებს შენც და მეც, მზად ხარ ამისთვის? – მკითხა ჩვენების წინ ჟან პიერ ბლოკმა, ჩემმა მემონტაჟემ. ჟან პიერი ეთაყვანებოდა ოთარს. ეს ჩვეულებრივ ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული კაცი პირველად და ბოლოჯერ ვნახე ასეთი ანერვიულებული და აღელვებული. მახსოვს, მთხოვა, სანამ ოთარი მოვა, არ გვინდა მუშაობა, ახლა ვერ ვკონცენტრირდებიო. დილის 9 საათი იყო. ოთარს ველოდით. გული კისერში მიცემდა იმიტომ, რომ გულ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. სატირული სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 2. დაუკოდავი ხარი; 3. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 4. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 6. მდგომარეობა ჭიდაობაში; 9. ფრანგული პური; 13. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ბუდიზმის ფუძემდებელი; 15. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 17. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 18. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 20. ჯიხვების ჯოგი.

თარაზულად: 1. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. ქორვაჭრის, სპეკულანტის ძველებური სახელწოდება; 7. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 8. დასავლეთის არაბული სახელწოდება; 10. დიდი ისტორიული პერიოდი; 11. მესაქონლეობის ფერმა ლათინურ ამერიკაში; 12. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 16. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 19. ფრანგი მეზღაპრე; 21. მოლდავეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დღეი; 23. ფულის ერთეული კუვეიტში; 24. დილის სადილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა